საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი-ოთხშაბათი, 18-19 აგვისტო. 2020 წ. №102 (9028) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

რამაზ საყვარელიძე:



ნაციონალების შენარჩუნება დასავლეთის დამსახურებაც არის! ③

სალომე ზურაბიშვილი – ვემიჯნებით ძალადობას!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბელარუსში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველო პატივს სცემს ევროპულ ღირებულებებს და ერთგულია დემოკრატიული პრინციპებისა, რომლებსაც ეფუძნება ორი მეგობარი სახელმწიფოს განვითარება, წინსვლა და ევროპულ ოჯახში დაბრუნება.

„ვიმედოვნებთ, რომ მიმდინარე პროცესი დასრულდება ისე, რომ ბელარუსის დემოკრატიულ და ევროპულ მომავალს არ დააზიანებს და არც შეაფერხებს. ვემიჯნებით ყველანაირ ძალადობას. გვჯერა, რომ ბელარუსი და მისი ხალხი შეძლებს საკუთარი მომავლის დემოკრატიულად გადაწყვეტას“, – აღნიშნულია განცხადებაში.

თემის გაგრძელება იხ. 8 გვ.

რა ხდება ბელარუსში?..

ცეცხლთან თამაში იწვევს ხანძარს! ⑧

აფხაზეთი 2008-2020: რატომ ინავლება უკეთესი მომავლის იმედი?! ⑥

საქართველოში თაღლითმა ნიგერიელებმა ⑨ ამერიკელი გაასუფთავეს...

სამზეოზე გამოტანილი სიყვარული ⑦

როცა სამართალი უსამართლობად იქცევა...

④

ლიბერალების ამარა დარჩენილი მსოფლიო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მამულიშვილს, ქველმოქმედსა და ქართული კულტურის მოამაგეს გია ჯოხთაბერიძეს ძვირფასი დედის

ნელი გვილავას

გარდაცვალების გამო.

კელი დეგნანი: ოქტომბრის არჩევნები არის შესაძლებლობა, აირჩიოთ მეტად წარმომადგენლობითი პარლამენტი

ვფიქრობ, სახელმწიფო მდივნის მოადგილის კომენტარები ასახავს ამერიკაში, ევროპასა და რა თქმა უნდა, საქართველოში ინტერესისა და შეშფოთების დონეს, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის სტივენ ბიგანის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

ელჩის თქმით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია.

„ვფიქრობ, ყველა აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს არჩევნები. ქართველებისთვის ეს არის შესაძლებლობა, აირჩიოთ უფრო მეტად წარმომადგენლობითი პარლამენტი, რომელშიც უკეთესად იქნება წარმოდგენილი შეხედულებებისა და ინტერესების მრავალფეროვნება. ვიმედოვნებ, მაჟორიტარი კანდიდატების გარდა, რომლებსაც ხალხი იცნობს, ქართველები, ასევე ყურადღებას მიაქცევენ პროპორციულ სიებს, რომელიც ახლა უფრო მეტად მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე აქამდე, რადგან უფრო მეტი კანდიდატია წარმოდგენილი. ეს არის საქართველოსთვის წინგადადგმული ნაბიჯი, 2024 წელს სრულად პროპორციულ არჩევნებზე გადასასვლელად. ასე რომ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება ოქტომბერში ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ სახელმწიფო მდივნის მოადგილის კომენტარები ასახავს ამერიკაში, ევროპასა და, რა თქმა უნდა, საქართველოში ინტერესისა და შეშფოთების დონეს“, — განაცხადა ელჩმა.

აშშ-ის ელჩმა, USAID-ის მისიის ხელმძღვანელმა და ცესკოს თავმჯდომარემ ცესკოს განახლებული სასერვერო ინფრასტრუქტურა გახსნეს

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სასერვერო ინფრასტრუქტურის გახსნის ცერემონია გაიმართა. ღონისძიება საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელმა პიტერ ვიბლერმა და ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გახსნეს.

ცესკოს ინფორმაციით, კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სასერვერო ინფრასტრუქტურა ამერიკული დახმარების ფარგლებში განახლდა, რაც ცესკოს შესაძლებლობას აძლევს, მაქსიმალურად შეამციროს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

მათივე ინფორმაციით, საარჩევნო ადმინისტრაციის სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფა და თანამშრომლების კიბერუსაფრთხოების და კიბერჰიგიენის მიმართულებით გადამზადება განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის — „საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“ (EPPS) ფარგლებში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით.

„აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, USAID-ის და IFES-ის წარმომადგენლებს შორის შეთანხმება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში შედგა. ცესკოში გამართულ შეხვედრაზე მხარეები 2020 წლის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების ხელშეწყობაზე შეთანხმდნენ.

გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდსა და კომპანია „იუ-ჯი-თი“-ის შორის, რომლის საფუძველზე „იუ-ჯი-თი“-იმ ცესკოსთვის შეიძინა სერვერები და სასერვერო გამართვა-აღჭურვისთვის საჭირო შესაბამისი მოწყობილობები“, — აცხადებენ ცესკოში.

თამარ ჟვანია: ჩვენი მთავარი მიზანია, არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი იყოს!

ჩვენი მთავარი მიზანი არის, რომ 2020 წლის პარლამენტის არჩევნებზე საქართველოში რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი იყოს, — ამის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ განაცხადა.

როგორც თამარ ჟვანიამ აღნიშნა, საერთაშორისო დამკვირვებლების ვიზიტთან დაკავშირებით იქნება კონკრეტული პროტოკოლი, რომელსაც შეიმუშავებს შესაბამისი უწყება.

„ცენტრალური საარჩევნო კომისია მოხარული იქნება, თუ ამ პროცესში ჩავერთვებით. აქტიურად ვთანამშრომლობთ შესაბამის სამინისტროსთან, საკოორდინაციო საბჭოსთან, ყველასთან ნებისმიერ საკითხზე და ჩვენი მთავარი მიზანი არის, რომ რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი იყოს საქართველოში 2020 წლის პარლამენტის არჩევნებზე. ეს არის მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, გამჭვირვალობის თვალსაზრისით და მეორე მხრივ, მიუკერძოებელი და პროფესიული შეფასებების თვალსაზრისით. ჩვენ მივიჩნევთ, რომ დამკვირვებლების ხელშეწყობა იქნება გადამწყვეტად მნიშვნელოვანი და ამისთვის მზად ვართ, ვიმუშაოთ ნებისმიერ უწყებასთან, რომ ისეთი პროტოკოლი იქნას შემუშავებული, რომელიც როგორც ეუთოს მისიას, ასევე IRI-ის, NDI-ის სადამკვირვებლო მისიებს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაქსიმალურად მისცემს შესაძლებლობას, აწარმოონ სრულყოფილი დაკვირვება არჩევნებზე“, — განაცხადა თამარ ჟვანიამ.

თეა წულუკიანი ნაცების გამათრახებაში გაიწაფა...

ადეიშვილი, სააკაშვილი და მერაბიშვილი აღარასდროს უნდა იყვნენ ხელისუფლებაში, უბრალოდ სასაცილოა, რომ დავით ბაქრაძე ამას მიხვდა ახლა და არა მაშინ, როცა მათი მოლაპარაკე დათუნია იყო... ასეთი კომენტარით წულუკიანი გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს“ წევრის დავით ბაქრაძის განცხადებას, რომლის თანახმადაც, კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებისას ექნებათ პირობები, „სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი არ იქნებიან მინისტრთა კაბინეტში, მათ შორის პრემიერ-მინისტრად.

„რა თქმა უნდა, ადეიშვილი, სააკაშვილი და მერაბიშვილი აღარასდროს აღარ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში. სასაცილოა, რომ დავით ბაქრაძე ამას მიხვდა ახლა და არა მაშინ, როცა ამდენი წელი ხელისუფლებაში მათი მოლაპარაკე დათუნია იყო. ის იყო მათი მოლაპარაკე დათუნია, სპიკერი პარლამენტის. ის იყო სპიკერი და გამპრავებელი სააკაშვილის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის და ახლა მიხვდა, როდესაც უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, რომ ისინი იყვნენ ცუდი ხალხი. არ ვიცი, ამას რა ჰქვია“, — განუცხადა ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა ჩოხატაურში, საზოგადოებრივი ცენტრის გახსნის შემდეგ.

ალიევმა საქართველოში აზერბაიჯანის ელჩად ფაიგ გულიევი დანიშნა

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე ფაიგ გულიევი დანიშნა.

როგორც აზერბაიჯანული სააგენტო „ტრენდი“ წერს, შესაბამის განკარგულებას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა. მანამდე ილჰამ ალიევმა საქართველოში ელჩის თანამდებობიდან დურსუნ აივაზ ოღლუ ჰასანოვის გამოწვევის განკარგულებას მოაწერა ხელი.

გულიევი აზერბაიჯანის დიასპორის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა. ელჩად დანიშვნასთან ერთად, ალიევმა აღნიშნული პოსტიდან მისი გათავისუფლების განკარგულებას მოაწერა ხელი.

ფრთხილად, ტროტუარზე ელექტროსკუტერია!

პატივცემულო მკითხველო, ამ ჯერზე თქვენს ყურადღებას დედაქალაქის ქუჩებში მოძრაობის ბოლოდროინდელ სახეცვლილებებზე შევაჩერებ, რომლის ზოგიერთი გარემოება, ვფიქრობ, შესაბამისი სამსახურებისგან გაცილებით უფრო გონივრულ მიდგომას საჭიროებს.

პირველი, რაც ყველასთვის აშკარად თვალშისაცემია, ესაა თბილისში მოტოციკლეტების, მოტოროლერების, ასევე ელექტროსკუტერებისა და სკეიტბორდით მოსრიალეთა რიცხვის უპრეცენდენტო მატება.

არაერთხელ ითქვა საჯაროდ, რომ კორონავირუსის პანდემიამ ჩვენს ყოველდღიურ ყოფას დიდი და, როგორც ჩანს, უკვე წარუშლელი დაღი დაასვა. თუმცა ისიცაა, რომ რამდენიმე სასიკეთო შედეგიც მოჰყვა: ხელის დაბანის პროცედურათა ინტენსივობამ მრავალჯერ იმატა, რის შედეგად გასულ ზამთარში „ჩვეულებრივი“ გრიპით დაავადებათა ოდენობა მკვეთრად შემცირდა. კიდევ ერთი აშკარად დადებითი მომენტია ქუჩებში ველოსიპედით მოძრავთა რიცხოვნობის ზრდა, რასაც თავის დროზე ინტენსიური მოძრაობის ქუჩაზე საგანგებო ზოლების გამოყოფამ შეუწყო ხელი, მაგრამ აქ ერთი მეტად გასაოცარ ფენომენს ვაწყდებით: ველოსიპედებისთვის სამოძრაოდ გამოყოფილ ზოლებში რომ მხოლოდ გადაადგილების ამ საშუალებებმა უნდა იმოძრაონ, ამას ხომ არანაირი დამატებითი ახსნა-განმარტება არ სჭირდება? მაშ, რატომ დაჰქრიან ამ ზოლებში მოტოციკლეტები, მოტოროლერები და ასე მომრავებული ელექტროსკუტერები? ისინი ხომ ინდივიდუალური მოხმარების სულ სხვა სატრანსპორტო საშუალებებია? მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ თითქმის ხმაურის გარეშე მოძრავი ელექტროსკუტერები ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ტროტუარებზეც სრულიად მოურიდებლად დაჰქრიან და დღითი დღე მზარდ საშიშროებას უქმნიან მოქალაქეებს. ამას თუ მოტოციკლებისა და მოტოროლერების უწესო მძღოლების მიერ შექმნილი სახიფათო ვითარებები ემატება — ამით განსაკუთრებით ზარმაცი კლიენტურისთვის საჭმლის დამტარებელი კომპანია „გლოვოს“ თანამშრომლები „გამოირჩევიან“, რომლებიც ყველა საგზაო წესის დარღვევით — ვთქვათ, მარჯვნიდან გასწრებით, მანქანების ნაკადში სწრაფად გაძრომა-გამოძრომით „იჩენენ თავს“. ამის არაერთი შემთხვევაა აღნუსხული, რამდენიმეს მოწმე პირადადაც გახლდით და მხოლოდ ერთადერთხელ, ჩიტაიას ქუჩაზე, ერთიანად მიტკლისფერმა, 18-19 წლის ჭაბუკმა „გლოვოს“ მოტოროლერი გააჩერა, გადმოვიდა და თხუთმეტიოდე წლის მოზარდი გოგონასთვის, რომელსაც უხეში დარღვევით დაეჯახა, „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გამოიძახა და საპატრულო პოლიციას თავად უხმო!

ვერ გეტყვით, ვის ევალება ამჟამად ამ საკითხის მკაცრად დარეგულირება — ისევ საპატრულო პოლიციას თუ დედაქალაქის მერიის რომელიმე სამსახურს, მაგრამ, როცა თუნდაც იმ ელექტროსკუტერებს არათუ სანომრე, საერთოდ არაფერი განმასხვავებელი ნიშანი არა აქვთ დადებული, ტროტუარებზე კი სრულიად მოურიდებლად დაჰქრიან და ღმერთმა ყველა დაიფაროს, რაიმე ხიფათის შემთხვევაში კაცი დამნაშავეს ვერ მიაგნებს, ეს, დარწმუნებული ვარ, სერიოზული ზომების გასატარებლად წონიანზე წონიანი არგუმენტია.

სხვა შემთხვევაში, ყველანი, მათ შორის, თქვენც, ბატონებო, ვისაც ამ პრობლემის გადაჭრა სამსახურებრივად გევალებათ, ყველანი თავხედ მოტოციკლისტთა, მოტოროლერისტთა და ელექტროსკუტერისტთა მძევლები ვიქნებით.

ოთარ ტურაბელიძე

№ 102. სამშაბათი-ოთხშაბათი, 18-19 აგვისტო, 2020 წელი.



ნაციონალების შენარჩუნება დასავლეთის დამსახურებაც არის!

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე, IRI-იმ და კომპანია „Survation"-მა სოციოლოგიური კვლევები წარმოადგინეს. კვლევის შედეგები განსხვავებულ სურათს არ ქმნის, ოპოზიციურ ველზე პირველობას ისევ ინარჩუნებს „ნაციონალური მოძრაობა", თუმცა IRI-ის მიერ წარმოდგენილი კვლევა კოალიციური მთავრობის ფორმირების ალბათობას ზრდის. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ნაციონალების პირველობას დასავლეთის მიერ შემოთავაზებული კოჰაბიტაციით ხსნის, თუმცა არ გამორიცხავს, რომ 31 ოქტომბრის არჩევნებზე განსხვავებული სურათი მივიღოთ.

რამაზ საყვარელიძე დღეს ჩვენი სტუმარია.

— IRI-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 33% „ქართულ ოცნებას" ირჩევს; 16% „ნაციონალურ მოძრაობას"; 5% — „ევროპულ საქართველოს"; — თავისუფალი დემოკრატებს" — 5%. განსხვავებულია კომპანია „Survation"-ის კვლევის შედეგი — „ქართული ოცნება" — 52%; „ენმ" — 19%; „ევროპული საქართველო" — 8%; „პატრიოტთა ალიანსი"— 5%; „ლელო" — 5%; „ახალი საქართველო" — 4%... ასე გადანაწილდა არჩევანი არჩევნებამდე ორი თვით ადრე. IRI-ს და „Survation"—ის კვლევა რამდენად იძლევა რეალურ სურათს?

რამაზ საყვარელიძე: რეალური სურათის შესაფასებლად კეთდება შედარება, რომელიც დაახლოებით ერთ დროს არის ჩატარებული. ცდომილება არის ხოლმე 2-3% და სადაც ერთნაირი სურათი იკვეთება, იმას მიიჩნევენ რეალობად. კვლევა, იმ კვლევის მიმართ რომელიც საერთო სურათიდან აცდენილია, ჩნდება უნდობლობა. ასე კეთდება ნორმალურ ქვეყნებში, სადაც არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ყოველ კვირას ტარდება კვლევები და დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, რაც მედიაში. მარტო ერთი მედიასაშუალების მიერ ნათქვამ ინფორმაციას ვერ ვაფასებთ, ვაფასებთ რამდენიმე მედიასაშუალების მიერ გადმოცემულ ინფორმაციას და მათ ერთმანეთს ვადარებთ. ამიტომ არის, რომ ცალკეული მედია ტყუილს ადვილად ვერ ამბობს. სოციოლოგიაში იგივე ვარიანტია, ოღონდ, სამწუხაროდ, სოციოლოგიაში ასე თითოეოროლა კვლევის ამარა ვართ და ტყუილია თუ მართალი, ძნელი გასარკვევია. ფაქტია, რომ ყველა კვლევა და თქვენს მიერ დასახელებულ კვლევებში პირველი არის „ქართული ოცნება", შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა", დიდი დაშორებით — „ევროპული საქართველო".

— ეს რიგი ყველა კვლევაში დასტურდება...

— გეთანხმებით. აქ საკვანძო მნიშვნელობისა არის ის, რომ ამა თუ იმ კვლევაში „ქართულ ოცნებას" ჰყავს მხარდამჭერების ის რაოდენობა, რომ დამოუკიდებლად დააკომპლექტოს მთავრობა, თუ უნდა შექმნას კოალიცია...

— IRI-ის კვლევით „ქართულ ოცნებას" 33% უჭერს მხარს, „რუსთავი 2"-ის დაკვეთით ჩატერებული კვლევით — 52%, ეს ციფრი იძლევა კოალიციური მთავრობის ალბათობას?

— 33% თითქოს კოალიციური მთავრობისკენ მიდის, ციფრი ჩამოწეული ამიტომაც არის. ადრე უფრო მეტი იყო იმ კვლევებში, რომლებიც ქვეყნდებოდა და სავარაუდოა, რომ ეს ძირს წამოსვლა შემთხვევითი არ არის, მაგრამ ამავე დროს, გვერდით იდება 52%-იანი კვლევა. თუ „ქართულ ოცნებას" რეალურად აქვს 52%, რა თქმა უნდა, მას არ დასჭირდება კოალიციური მთავრობა, მაგრამ 33% რეალობა რომც იყოს, იქ 40%-მდე არის კრიტიკული მონაკვეთი და თუ გადალახა 40%, ასეთ შემთხვევაში, მას უკვე შეუძლია დამოუკიდებლად მთავრობის ჩამოყალიბება. წინ კიდევ ორი თვე არის, საარჩევნო კამპანია ჯერ არც დაწყებულა. ამიტომ, რომც იყოს 33%, დღეს იმის დაბეჯითებით თქმა, რომ ამ დონეზე დარჩება თუ არა ვითარება, რთულია. წინ საკმაო დროა საიმისოდ, რომ რეიტინგებში არსებული ცვლილებები მოხდეს.

— ორივე კვლევით ვიღებთ შედეგს, როდესაც ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალა ისევ „ნაციონალური მოძრაობაა", თუმცა საზოგადოებრივი აზრი რადიკალურად განსხვავებულია. ამომრჩევლის უმრავლესობა თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" საერთოდ არ უნდა იყოს წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში, მაგრამ კვლევა განსხვავებულ სურათს აჩვენებს. ეს რას ნიშნავს?

— როგორც სოცილოგიურ კვლევებში, ასევე არჩევნების შედეგებში ყველგან მეორდება ეს ვითარება. მდგომარობა განპირობებულია იმით, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ჰყავს თავისი მომხრეების სტაბილური რაოდენობა, რომელიც ხან ოდნავ იზრდება, ხან მცირდება, მაგრამ არსებითად ასეთი ჯგუფი არსებობს. ასეთი ჯგუფის ყოფნაზე არის სწორედ ეს მოვლენა დამოკიდებული, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ნაციონალური მოძრაობა" მიხეილ სააკაშვილის სახელთანაა ასოცირებული.

დანაშაული იყო თუ პოლიტიკური პლატფორმა, თავისი უაზრო საქციელით, ყველა პარტიას დაახლოებით თანაბარი რაოდენობა აქვს, მაგრამ ყველაზე მეტი — „ნაციონალურ მოძრაობას", რადგან მისთვის სააკაშვილი ქარიზმული ლიდერი იყო და არის. ქარიზმულობა ნიშნავს, რომ მისი მხარდამჭერები, თითქმის ბრმად, ავტომატურად მიჰყვებიან, უყვართ თავიანთი ლიდერი და ეს სიყვარული არის ძირითადი მოტივი. როგორც ამბობენ, სიყვარული ბრმაა, მან კრიტიკა არ იცის.

— „ნაციონალური მოძრაობის" პირველობა ხელისუფლების მხრიდან ხომ არ არის განპირობებული, ვინაიდან მისთვის მომგებიანია ისეთი პოლიტიკური ოპონენტი, რომლის მმართველობა დაკავშირებული იყო ძალადობასთან?

— ნაციონალების შენახვის პრობლემის ეს ვერსია არ არის უსაფუძვლო. თუ გერმანიის მდგომარეობას შევადარებთ, იქ ნიურნბერგის პროცესმა შეასრულა გადამწყვეტი როლი, თორემ ნაციზმის მომხრეები დღემდე არიან გერმანიაში, ოღონდ ნიურნბერგის მერე აიკრძალა დანაშაულებრივი პარტია და მომხრეებიც ვერ ავლენენ თავიანთ თავს. იქაც დაახლოებით მსგავსი მოვლენებია, ჰიტლერიც ქარიზმული ლიდერი იყო...

— ყველა პარტიას აწყობს, რომ მის კონკურენტს ჰქონდეს ცოდვები, კომპრომატების პაკეტი პოლიტიკაში იშვიათი მოვლენა არ არის და ასეთი კომპრომატები ბუნებრივად თუ არსებობს, რა თქმა უნდა, ყველას აწყობს...

— მე კიდევ დავამატებდი, რომ ეს მარტო იმ პოლიტიკური ძალის, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა, ანუ — „ქართული ოცნების" სტრატეგიის შედეგი არ არის. ვიცით, რომ „ქართულ ოცნებას" ხელებში ეცა დასავლეთი, რომ არავითარ შემთხვევაში ნაბიჯები არ გადაედგა ნაციონალებთან საბრძოლველად — კოჰაბიტაცია აუცილებელი უნდა იყოს თქვენს შორისო. დღემდე ვხედავთ, როგორ იცავს დასავლური ჯგუფის ერთი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესს. რატომ იცავს, ეს კიდევ ცალკე თემაა. მარტო „ოცნება" არ არის ნაციონალების შენარჩუნებაში დამნაშავე. ეს დასავლეთის დამსახურებაც გახლავთ. როდემდე გაგრძელდება ასე, ამის თქმა ძნელია...

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ახალგაზრდებო, რაც კარგია, კარგია!

18-დან 22 წლის ჩათვლით სტუდენტებს, სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლება

საქართველოს ეროვნული გვარდიის მეთაურმა, პოლკოვნიკმა რომან ჯოხაძემ, ტერიტორიულ რეზერვში მიღების დაწყებასა და საზოგადოებისთვის სარეზერვო სამხედრო სამსახურის პირობების შესახებ ისაუბრა. რომან ჯოხაძის ინფორმაციით, აქტიურ რეზერვში მიღება ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადია.

ამასთან, რომან ჯოხაძის განცხადებით, 18 -დან 22 წლის ჩათვლით სტუდენტებს, სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლება.

„მოცემულ ეტაპზე, აქტიურ რეზერვში მიიღებიან ქალაქ თბილისის, მცხეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელო-ზემო-სვანეთის და კახეთის რეგიონში მცხოვრები 18-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეები, როგორც ქალბატონები, ასევე მამაკაცები.

აქტიურ რეზერვში მიღება ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადია. რეზერვისტთან ფორმდება 5-წლიანი კონტრაქტი და ამის შემდეგ მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი, სამოქალაქო სამსახური.

საბრძოლო მომზადება თითოეული წლის განმავლობაში გახლავთ არაუმეტეს 45 დღისა, ხოლო რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება შეადგენს 2700 ლარს. მნიშვნელოვანია ის, რომ 18-დან 22 წლის ჩათვლით სტუდენტებს, სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, სავალდებულო სამსახური ჩაეთვლება მოხდილად.

სარეზერვო სამსახურის გავლის სრული ციკლი მოიცავს შემდეგ საფეხურებს: რეკრუტირების ფაზა, შერჩევის ფაზა, სარეზერვო სამსახურის გავლა და კონტრაქტის გაგრძელება. სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირს გააჩნია შემდეგი სოციალური დაცვის გარანტიები. რეზერვისტი სარგებლობს სამხედრო მოსამსახურისთვის, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით. შრომის სტაჟად ეთვლება კონტრაქტით განსაზღვრული პერიოდი.

სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოძახების პერიოდში უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და შრომის ანაზღაურება. უნარჩუნდება ასევე, სახელმწიფო კომპენსაცია სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი სხვა სოციალური დაცვის გარანტიები", — განაცხადა ჯოხაძემ.

მისივე თქმით, საბუთები ყოველ სამუშაო დღეს მიიღება, ასევე შესაძლებელია ონლაინ რეგისტრაციაც.

ახალი სკოლები გეგუთსა და წყალტუბოში

სოფელ გეგუთსა და წყალტუბოში 240 ბავშვზე გათვლილი სკოლები შენდება. სამშენებლო სამუშაოები 2019 წელს დაიწყო და 2021 წლისთვის დასრულდება, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, პროექტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. ფონდი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, აშენებს 66 სკოლას და რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტური კომპონენტის გაძლიერების სამუშაოებს ახორციელებს 100 სკოლაში. საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების (CEB და NEFCO) მიერ ფინანსდება.

ჩოხატაურში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

ჩოხატაურის საზოგადოებრივი ცენტრი გურიაში მეექვსეა, ქვეყნის მასშტაბით კი 81-ე. ღონისძიებას თეა წულუკიანი დაესწრო..

თანამედროვე სტანდარტების შენობა სპეციალურად საზოგადოებრივი ცენტრისთვის აშენდა. ცენტრში როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე სტუმრები 200-ზე მეტ სახელმწიფო და კერძო სერვისს მიიღებენ. ასევე ისარგებლებენ ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურებით, უკაბელო ინტერნეტითა და უფასო სკაიპის ოთახით. საზოგადოებრივ ცენტრში შეხვედრების ოთახი და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკაა.



ლიბერალების ამარა დარჩენილი მსოფლიო

დღეს შეუძლებელია, არ დავინახოთ, თანამედროვე ლიბერალების ფრთა როგორ დაუნდობლად ებრძვის მსოფლიოს პროგრესულ ძალებს. ერთი მხრივ, ვითომ ეს თავისუფალი სამყარო და მეორე მხრივ, სახელმწიფო სუვერენიტეტის მსურველი – ინგლისი, ამერიკიდან ტრამპის ფრთა, ნაწილობრივ; იტალია, გერმანია, საბერძნეთი (საფრანგეთი კი თითქმის ჩაყლაპეს).

ამ ბრძოლაში, ცხადია, ჩვენც ვართ ჩათრეული, მაგრამ მარტო აღარ ვართ, უკვე შეგვიძლია არჩევანი გავაკეთოთ და ჩვენი პოზიცია გამოვხატოთ. მით უფრო, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ფორმაცია ხომ ოფიციალურად ლიბერალურ-დემოკრატიულად სახელდება. ამიტომ დემოკრატია გვაძლევს უფლებას, ჩვენი მოსაზრებები გარკვეულ მოვლენებსა და ფაქტებზე, ღიად და განსხვავებული რაკურსით წარმოვაჩინოთ. მხოლოდ ლიბერალებს არ აქვთ უფლება ამ ქვეყანაში საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღონ.ამით გარკვეულ სამსახურს გავუწევთ ჩვენს ხელისუფლებას, რომელიც დიდ წნეხს განიცდის გარე და შიდა ლიბერალური ძალების მხრიდან.

იმედია, დამეთანხმებით, ეს ბრძოლა დიდი ხანია, დაწყებულია. გავიხსენოთ ბრეივიკი, ეს ხორცშესხმული ბოროტება, რომელსაც მისცეს უფლება, ერთი საათის განმავლობაში აშკარა ნადირობა გაემართა ახალგაზრდა მემარცხენე პოლიტიკოსთა მიმართ და სანამ 70-მდე ახალგაზრდა (მათ შორის, ქართველი გოგონა თამთა ლიპარტელიანი) სიცოცხლეს არ გამოასალმა, არ შეაჩერეს. მერე კი სასჯელის ნაცვლად, მსოფლიოს ყველაზე ჰუმანურ ციხეში, სანატორიულ პირობებში გუნდრუკს უკმევენ და ცივ ნიავს არ აკარებენ.

ახლა რაც შეეხება კორონას. მე ვერ მოვისმინე მსოფლიოს ვერც ერთი მეცნიერისაგან მოსაზრება, რომელიც დაბეჯითებით დაადასტურებდა, რომ ეს ვირუსი ხელოვნურად შექმნილი არ არის. თან ასაბუთებენ, რომ შექმნილია ჩინეთში, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით, ანუ ლიბერალური პოლიტიკით!.. და თუ ამის თუნდაც თეორიული შანსი არსებობს ჩინეთში, წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოხდეს სხვაგან, განსაკუთრებით, ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყანებში, სადაც უფლება აქვთ, რომ ყველა „შესახვევში“ ნებისმიერი წარმოება და ლაბორატორია ამუშაონ... და რისთვის შეიძლება იყოს შექმნილი კორონა? ნათელია, რომ მოსახლეობის ხელოვნურად შესამცირებლად..

ასეთია ლიბერალ-დემოკრატების ამარად დარჩენილი მსოფლიო. ამიტომ ორი პოლუსი სჭირდება სამყაროს: სოციალისტურიც და კაპიტალისტურიც, რომლებიც ერთმანეთის განვითარებისთვის საჭირო ნიადაგს შექმნის. უამისოდ ორივე სისტემა ჩიხში შედის. შეიძლება ითქვას, რომ ადრე ორივე მხარე, სოციალისტური და კაპიტალისტურიც, აკეთილშობილებდა კიდეც ერთმანეთს. უფრო მეტიც, ეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც ამ ურთიერთობებს შორის წონასწორობის დარღვევით არის გამოწვეული. ამას ეკოლოგიური კატაკლიზმებიც ემატება თან, რომლებსაც, „თავისუფლად მოაზროვნეთა“ მიერ ხელოვნურად გაჩენილი ხანძრები კიდევ უფრო ამძაფრებს და აძლიერებს.

აქვე ჯაბა იოსელიანის ერთი ცნობილი გამონათქვამი გამახსენდა: „თქვენ თავისუფლება და დემოკრატია ლობიოს ჭამა ხომ არ გგონიათ. ახლა ისეთი დრო მოდის, ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს და თავი გადაირჩინოსო“...

ჰოდა, მოვდივართ კიდეც ასე ეს 30 წელი, სწორედ საკუთარი პროგლემებითა და დარვინიზმით, უსისტემო ლიბერალიზმით და ეგრეთ წოდებული დემოკრატიით. შესაბამისად გამოთქმა – „ეს ჩემი პრობლემა არ არის“, წარმოადგენს ჩვენი დროის ყველაზე გავრცელებულ ფრაზას. ვეღარ მივხვდით, რომ თავის გადარჩენა ძვეყნის გადარჩენის გარეშე, დროის მცირე პერიოდში არსებული მოჩვენებითი მირაჟია მხოლოდ.

„როცა სამართალი იქცევა უსამართლობად, მაშინ წინააღმდეგობის გაწევა ყველა ჩვენგანის ვალია“

გოეთე

ამიტომ, როცა მოვიდა კორონა, მივხვდით, რომ მეზობლისა და მოყვასის კი არა, ჩინეთის პრობლემა გახდა ჩვენი. რეალურად მესამე მსოფლიო ომში მოექცა მსოფლიო. სამწუხაროდ, დაგვავიწდა, რომ ჩვენ, ადამიანები, ერთ ნავში ვსხედვართ და ახალ დედამიწას ვერ გამოვიგონებთ. მთვარესა და მარსზე დასახლებამდე კი ჯერ კიდევ შორია. დამერწმუნეთ, არც იქ იქნება – „ეს ჩემი პრობლემა არ არის“ პრინციპით ცხოვრება მისაღები და დასაყრდენი. ღვთისგან წყალობაც ერთმანეთის პრობლემებთან ჩვენი დამოკიდებულების შესაბამისად მოგვეცემა მხოლოდ.

ხოლო იმის მტკიცება, მე პოლიტიკა არ მაინტერესებს, ყველამ თავისი საქმე აკეთოსო, არ არის სწორი. სამწუხაროდ, პოლიტიკას ვაინტერესებთ ჩვენ და საზარბაზნე ხორცადაც გვიყენებს ხშირად. არასწორად გატარებული პოლიტიკის გამოა, რომ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ გვაქვს სწორედ ეს „საკუთარი საქმე“. ბებიაჩემმა იცოდა თქმა: ამ ქვეყანაში და მსოფლიოშიც რაც ხდებოდა, ყველაფერმა ჩემს ჭიშკართან ჩაიარაო. ცხადია, ბებიაჩემი არ ყოფილა გამონაკლისი.

ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკაა ერთადერთი, რაც ადამიანების თავისუფალმა ნებამ შეიძლება, რომ გადაწყვიტოს. თორემ გენეტიკას, კარმასა და სამყაროს სხვა კანონზომიერებას ვერც შევცვლით და არც შეიძლება რომ შევცვალოთ, ყველაფერი თავზე რომ არ დაგვენგრეს.

მერე ამ ყველაფერმა ბერტოლდ ბრეხტი გამახსენა თავისი შესანიშნავი ნაშრომით – **„ხუთი სირთულე მართლის მწერლისთვის“**. „მამაცი უნდა იყო და წერო სიმართლე, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველგან ახშობენ, გონიერი უნდა იყო, რათა შეიმეცნო სიმართლე, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველგან ჩქმალავენ, უნდა შეგეძლოს სიმართლის საომარ იარაღად გამოყენება, უნდა გქონდეს უნარი, რათა შეარჩიო ადამიანები, ვინც შეძლებს ამ იარაღის მოხმარებას, და ბოლოს, უნდა იყო მოხერხებული, რათა სიმართლე ადამიანთა ფართო წრეში გაავრცელო“.და როგორ გავაკეთოთ ეს ყველაფერი?

ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, პირველ რიგში, ყური გულს უნდა დაუგდო და სწორ გზაზე დაგაყენებს, რადგან გული ყოველთვის სწორ რჩევას იძლევაო. მართალიც იქნება, რადგან გული ყველაზე მთავარი ორგანოა ჩვენს ორგანიზმში. მასში სიცოცხლის მარეგულირებელი, ყველაზე დიდი „პოლიტიკური“ მექანიზმი დაუმკვიდრებია განგებას. მექანიზმი, რომლითაც ძგერს იგი – სისხლის მიმოქცევის ორი წრის სახით. **უფრო ზუსტად კი, სისხლის მიმოქცევის მცირე წრით, (მსგავსად მემარჯვენე პლატფორმის მთავარი იდეისა – შექმნას კაპიტალი) ორგანიზმში იქმნება სწორედ სიცოცხლისათვის აუცილებელი კაპიტალი – ჰემოგლობინით მდიდარი სისხლი. და ეს წრეც იწყება სწორედ მარჯვენა პარკუჭიდან, ჩადის მარცხენა წინაგულში და დასაბამს აძლევს სისხლის მიმოქცევის დიდ წრეს. ეს უკანასკნელი კი იწყება სწორედ მარცხენა პარკუჭიდან (რომელიც მემარცხენე პლატფორმის მთავარი იდეის მსგავსად) კვებავს მთელ ორგანიზმს, ორგანოების საქმიანობისთვის საჭირო კოეფიციენტის შესაბამისად, შემდეგ კი ვენური სისხლის სახით გასამრჯელოს უხდის მცირე წრეს და დასაბამს აძლევს მას.**

ეს გახლავთ აბსოლუტური გონის გაკვეთილი კაცობრიობის მიმართ, თან, ეს ყველაფერი ერთგვარი ბიოლოგიური მატრიცის მაგალითია. ბიოლოგიური მატრიცებით კი ძალიან დავალებულია ჩვენი ტექნიკური პროგრესი (ხიდების – მშენებლობა, ავიაცია და ა.შ.), რატომ არ უნდა იქნას იგი გათვალისწინებული პოლიტიკური სისტემების შექმნის დროს?

თუ დავუკვირდებით, მივხვდებით: თითქოს განგება გვეუბნება, რომ როგორც სისხლის მიმოქცევის დიდი და მცირე წრეების არსებობაა ერთმანეთზე დამოკიდებული, ასევე მემარჯვენეების საქმიანობის დადებითი შედეგი გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი შეესაბამება მემარცხენეების მოთხოვნებს და, პირიქით. და იმასაც მიგვანიშნებს, რომ როგორც ორგანიზმის არსებობისა და ჯანმრთელობისთვისაა აუცილებელი სისხლის მიწოდება ორგანიზმის კონსტიტუციური კოეფიციენტის შესაბამისად მიმდინარეობდეს, ასევე საჭიროა გამოანგარიშდეს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონსტიტუციური კოეფიციენტი.

ნუ დავივიწყებთ, რომ სახელმწიფო ეს არის ხალხთა შეთანხმება, შეთანხმება სწორედ იმაზე, კონკრეტულად რამდენი უნდა იყოს ეს კოეფიციენტი. ანუ რა შეფარდებითი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს სახელმწიფო ეკონომიკურ საკუთრებასა და კერძო, ინდივიდუალურ ეკონომიკურ საკუთრებას შორის, უდიდეს ხელფასსა და უმცირეს ხელფასს, პენსიას და საარსებო მინიმუმს შორის, რათა სოციალურ ფენათა თანაარსებობა შედგეს, შიდა ბაზარმა იარსებოს და ეკონომიკური სიდუხჭირე როგორმე გადაილახოს. ამავე პრინციპზე საუბრობდა დიდი ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ წინა საუკუნეში.

სწორედ ამიტომაც არის, რომ დღეს ცნობილი პოლიტიკოსები ყველაზე წარმატებულ პოლიტიკურ სისტემად სოციალისტურ-კაპიტალისტურ წყობას მიიჩნევენ.

თავად მაფიოზურ იტალიაშიც კი შეძლეს ამ კოეფიციენტის დაკანონება საჭირო დროს თავიანთ ქვეყანაში. სამწუხაროდ, საბჭოთა ქვეყნის განადგურების შემდეგ, ამ კოეფიციენტის გათვალისწინებას, ლიბერალურ-დემოკრატიული ფორმაციის მქონე ზოგმა ქვეყანამ გვერდის ავლა ამჯობინა. სწორედ ამიტომ, დღეს უკვე ბევრი მეცნიერი პოლიტიკოსი აღიარებს, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ კრიზისში ეს სინამდვილე დიდ როლს ასრულებს. თუმცა არც ერთ ქვეყანაში არ უარყვიათ ეს ფაქტი ისე, როგორც საქართველოში. ამიტომაა ჩვენთან ყველაზე დაბალი პენსია, ხელფასი და საარსებო მინიმუმი.ანარქია კი ბოლოს ყოველთვის კატაკლიზმებით მთავრდება.

ამიტომ გარბის ხალხი საზღვარგარეთ, თუმცა კორონამ ეს შესაძლებლობაც მოსპო და ამით კიდევ უფრო გააქტიურდა ეს საკითხი.

დიახ, ეს საკითხი გახლავთ ჩვენი ქვეყნის უპირველესი პრობლემა...

რუსეთშიც კი უფრო დიდი ხელფასი და პენსიები აქვს ხალხს, არაფერს ვამბობ დასავლეთის ნებისმიერ სახელმწიფოზე. სამწუხროდ, ამის შესახებ არ ლაპარაკობენ და „შფოთდებიან“ ჩვენი პარტნიორები დასავლეთიდან და არც თითქოს ჩვენზე მზრუნველი საკუთარი პოლიტიკოსები.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღეს დასავლეთში ლიბერალები ღმერთს, რომის პაპს, ქრისტიანობასა და ეროვნულ იდენტობას თავისუფლების სახელით ებრძვიან. ჩვენთან კი, 90-იან წლებში, თავისუფლებისათვის ბრძოლა სწორედ ღმერთის სახელითა და ეროვნული მოძრაობით დაიწყეს!

აი, ეს გახლავთ ჩვენი კიდევ ერთი მთავარი პრობლემა!..

მშვენივრად ვიცი, დიდ სიმართლეს იერარქიულად მაღალ საფეხურზე მდგომი მთქმელი სჭირდება ისე, როგორც დონორი სახელმწიფოც თითქოს ყოველთვის „მართალია“. თუმცა **ისიც მართალია, რომ სინდისსა და სამართლიანობას ღმერთი პატრონობს! თუ დაანახებ, რომ მართალი ხარ და ეს მხარეც არსებობს. მით უფრო, „როცა სამართალი იქცევა უსამართლობად, მაშინ წინააღმდეგობის გაწევა ყველა ჩვენგანის ვალია“ (გოეთე).**

ია საკანდელიძე,
ექიმი, პუბლიცისტი.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

მეცნიერი, ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე

აკადემიკოსი ალეკო ბაკურიძე – 65

პროფესორი ალიოშა (ალეკო) ბაკურიძე დაიბადა 1955 წლის 17 აგვისტოს შუახევის რაიონის სოფელ შუბანში. 1972 წელს დაამთავრა შუბანის საშუალო სკოლა, ხოლო 1979 წელს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი წარჩინებით. სტუდენტობის დროს იყო აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის სახელობის სტიპენდიანტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ალეკო ბაკურიძე მუშაობას იწყებს შუახევის მუნიციპალიტეტში რაიონული აფთიაქის გამგის თანამდებობაზე, ხოლო 1982 წლიდან 2 წელიწადი მუშაობდა ჩაქვის აფთიაქის გამგედ. ამ შედარებით მოკლე პერიოდში ახალგაზრდა ა. ბაკურიძემ აჭარის მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

პროფ. ა. ბაკურიძემ თავიდანვე კარგად იცოდა, რომ მეცნიერებაში არ არსებობს ფართო შარაგზა და მხოლოდ იმას შეუძლია მიაღწიოს მეცნიერების მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა! მიუხედავად მოსალოდნელი სიძნელეებისა, 1984 წელს ა. ბაკურიძემ სწავლა გააგრძელა ფარმაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, ქ. მოსკოვში. ასპირანტურა დაამთავრა 1987 წელს, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრაზე ასისტენტად. 1990-1995 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის დოცენტია.

1994 წელს ა. ბაკურიძემ ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ფარმაციაში ყველა გრიფით, რაც ძალზე იშვიათი და გამორჩეული შემთხვევაა.

1995-2000 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია, ხოლო 2000 წლიდან დღემდე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

პროფ. ა. ბაკურიძის სამეცნიერო მიღწევების აღიარება და შთამბეჭდავი დაგვირგვინება იყო, როცა ის 2004 წელს აირჩიეს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

1994-2005 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მოღვაწეობისას წარმოჩინდა პროფ. ა. ბაკურიძე როგორც მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების თვალსაჩინო ორგანიზატორი.

2005-2008 წლებში ის უკვე იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორია, 2008-2015 წლებში კი — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

პროფ. ა. ბაკურიძე შვიდი წელი ხელმძღვანელობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს.ეს პერიოდი მისი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობის ერთ-ერთი ნათელი და თვალსაჩინო მაგალითია. მან უნივერსიტეტი ჩაიბარა მძიმე, რთულ, შეიძლება ითქვას, კრიზისულ სიტუაციაში, როცა უნივერსიტეტის ავტორიტეტი საკმაოდ დაკნინებული იყო და სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოები თითქმის თვითდინებაზე იყო მიშვებული.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მუშაობის პერიოდში პროფ. ა. ბაკურიძე წარმოჩინდა როგორც უმაღლესი სკოლის, ზოგადად, განათლების სისტემის უბადლო მცოდნე, შესანიშნავი ორგანიზატორი, შედეგზე ორიენტირებული ხელმძღვანელი და მეცნიერი. მან აამაღლა უნივერსიტეტის ავტორიტეტი და ცნობადობა მსოფლიო საუნივერსიტეტო სივრცეში, გაამრავალფეროვნა საგანმანათლებლო პროგრამები, შექმნა ახალი სპეციალობები. მისი უშუალო ინიციატივით საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა ფარმაციის მიმართულება, რითაც საფუძველი ჩაეყარა უმაღლეს საუნივერსიტეტო ფარმაცევტულ განათლებას აჭარაში.

პროფ. ა. ბაკურიძეს **გამოქვეყნებული აქვს 338 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 სახელმძღვანელო; მიღებული აქვს 9 საავტორო მოწმობა და 32 პატენტი;**

ავტორია 26 პრეპარატისა, რომლებიც სერიულად იწარმოება საქართველოში;

არის 20 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი.

ამჟამად ხელმძღვანელობს 5 დოქტორანტს, 2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას: „სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“.

1996-2015 წლებში სტაჟირება გავლილი აქვს დანიის, ჩეხეთის, ეგვიპტის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, საფრანგეთის, კანადის, თურქეთის, პოლონეთისა და სხვ. ქვეყნების მძლავრ და აღიარებულ უნივერსიტეტებში.

2006 წლიდან დღემდე სამეცნიერო მოხსენებებით წარსდგა 26 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის წინაშე.

პროფ. ა. ბაკურიძე დაძაბული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობის პარალელურად ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ და სამეწარმეო საქმიანობას.თითქმის ათი წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციას. მან შეიმუშავა საქართველოში ფარმაციის განვითარების კონცეფცია. აჩვენა როგორ უნდა გიყვარდეს დარგი, პროფესია, მისი ისტორია და ტრადიციები.

პროფ. ა. ბაკურიძე ფარმაცევტული წარმოების ორგანიზატორიცაა. მან მეგობრებთან ერთად ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დაიფუძნა ფარმაცევტული საწარმო „ფიტოფარმი“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა იმ უმძიმეს წლებში ქვეყანაში ფარმაცევტულ პრეპარატებზე დეფიციტის დაძლევის საქმეში. შემდეგ პროფ. ა. ბაკირიძე აფუძნებს ფარმაცევტულ საწარმო „ნეოფარმს“, რომელიც ბუნებრივი სამკურნალო ნედლეულის ბაზაზე წარმოებული პრეპარატებითაა სახელგანთქმული და ამ თვალსაზრისით ის ქვეყანაში წამყვანი საწარმოა. „ნეოფარმის“ ლოგო ამშვენებს სააფთიაქო ქსელსაც, რომელიც მოსახლეობაში დიდი ნდობითა და დამსახურებული აღიარებით სარგებლობს.

ზემოთ აღნიშნული უაღრესად შთამბეჭდავი სამეცნიერო წარმატებებისა და შრომითი ბიოგრაფიის მშრალი ციფრების უკან იკითხება პროფ. ა. ბაკურიძის მრავალწლიანი, ტიტანური, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, ორგანიზატორული და საზოგადოებრივი საქმიანობა. ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან მეცნიერებას, შრომას, ახალგაზრდების აღზრდის საქმეს მოახმარა. პროფ. ალეკო ბაკურიძე დღეს საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული მეცნიერია. მისი სახელმძღვანელოები სტუდენტებს უყვართ, მის შრომებს მეცნიერები ყურადღებით ეცნობიან, მის მიერ შექმნილ ახალ პრეპარატებს ავადმყოფთათვის შვება და განკურნება მოაქვთ.

პროფ. ა. ბაკურიძე საყოველთაოდ აღიარებული, საქმეზე და შედეგზე ორიენტირებული, ინოვაციური, ფართო ერუდიციის მქონე, ქარიზმატული ლიდერია. მტკიცე ნებისყოფის, მეგობრობაში ერთგული, უღალატო, ტრადიციებისა და პრინციპების დამცველი პატრიოტია, რომელიც ქვეყნისა და საქმის, დარგისა და პროფესიის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს. ის პირად ცხოვრებაშიც მოკრძალებული და თავმდაბალია, რაც მისი მაღალი შინაგანი კულტურის მაჩვენებელია.

პროფ. ა. ბაკურიძე მჭევრმეტყველი, ენციკლოპედიური ცოდნისა და მტკიცე, გაწონასწორებული ხასიათის მქონე მეცნიერია, რომელიც ადამიანებზე დადებითი ზემოქმედების გამორჩეულ უნარებს ფლობს. იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებითა და ენთუზიაზმით იღვწის.

პროფ. ა. ბაკურიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, უამრავი დიპლომითა თუ საპატიო სიგელით.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

* * *

ბატონო ალეკო! აჭარის ფარმაცევტთა ასოციაცია მოკრძალებითა და დიდი პატივისცემით გილოცავს იუბილეს, გისურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობასა და შემდგომ წარმატებებს ფარმაციისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ

მამული და ოჯახი დაგილოცოთ ღმერთმა!

ვლადიმერ მახარაძე,
აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი, ფარმაციის დოქტორი, პროფესორი, გბელ აბუსერისძისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

„მოძრავი საინფორმაციო ცენტრი ბორბლებზე“

„მოძრავი საინფორმაციო ცენტრი ბორბლებზე“ შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკს ეწვია. ეს არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, დამზადებული საინფორმაციო ბრენდირებული ავტობუსი, რომელიც ტურისტული მიმართულებით ახორციელებს სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიას. ავტობუსი მთისა და ზღვის კურორტებზე, რეკრეაციულ სივრცეებში, გამოფენებსა და ფესტივალებზე დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა ტურისტული ადგილმდებარეობის, შავიზღვისპირეთში გასართობი აქტივობების, მუნიციპალური პროექტების: „ჩაის გზა“, „ჩხავერის ისტორია“ და გურული ფოლკლორის მასტერკლასები, მასპინძელი საოჯახო სასტუმროებისა თუ ადგილობრივი კულტურის შესახებ.

„ავტობუსი აღჭურვილია პროექტორით და ეკრანით. პროგრამის მიზანია, არა მარტო უხცოელ ტურისტებს მიაწოდოს ინფორმაცია, არამედ ხელი შეუწყოს შიდა ტურიზმის განვითარებას. პროექტი შეკვეთილის დენდროლოგიური პარკიდან დაიწყო და გურიის სხვადასხვა ტერიტორიაზე გაგრძელდება.

აჭარაში ტურისტული სეზონი უსაფრთხოა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტთან ერთად პანდემიის პერიოდში მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულ ახალგაზრდებს შეხვდა.

მან მოხალისეებს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის და ახალი კამპანიის დაწყება დააანონსა, რომელიც წითელი ჯვრის ჩართულობით განხორციელდება და უზრუნველყოფს ტურისტული სეზონის უსაფრთხოდ წარმართვას. ახალგაზრდები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციის გავრცელების და ვიზიტორებისთვის ინფორმაციის მიწოდების კამპანიაში ჩაერთვებიან. მოხალისეებს წითელი ჯვარი გადაამზადებს.

პანდემიის პერიოდში ახალგაზრდული ცენტრი წითელ ჯვართან ერთად მოხალისეობრივ და საქველმოქმედო საქმიანობას ახორციელებს და უკვე 30 ათასზე მეტ ოჯახს გაუწია დახმარება სასურსათო კალათებით, მედიკამენტებით. ევროპის რეგიონთა ასამბლეამ და ხმელთაშუა ზღვის კავშირის ქვეყნებმა აჭარა, პანდემიის განმავლობაში, ახალგაზრდული მოხალისეობის წარმატებულ მაგალითად აღიარა ევროპაში. ღონისძიებაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი და მოხალისეები იღებდნენ მონაწილეობას. ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით, ბათუმში ახალგაზრდული ფესტივალი გაიმართა.

„დარისპანის გასაჭირი“ – ღია ცის ქვეშ

დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა ლანჩხუთის ეგნატე ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრმა ღია ცის ქვეშ, ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმში, გურული ოდის ფონზე გამართა, — ამის შესახებ ინფორმაციას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სპექტაკლი ცოცხალი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა. აზნაურ დარისპან ქარსიძის საკმაოდ რთული ყოფა-ცხოვრება დავით კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით რეჟისორმა ოთარ ქათამაძემ დადგა. მისი თქმით, ძალიან მოკლე დროში დაიდგა სპექტაკლი და მთელი სამსახური მუშაობდა, რათა ეს სპექტაკლი გამოსულიყო ისეთი, როგორიც გამოვიდა.

პრემიერას საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ნინო წილოსანი, სახელმწიფო რწმუნებული გურიაში ზურაბ ნასარაია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

აფხაზეთი 2008-2020: რატომ ინავლება უკეთესი მომავლის იმედი?!

12 წლის წინ რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. იმ დროიდან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თითქოს გამყარდა, მაგრამ რიგითი მოქალაქეების შეფასებით, მოლოდინი გაცილებით დიდი იყო.

ეს აღიარება რესპუბლიკის ბევრი მკვიდრის მიერ სასწაულად აღიქმებოდა, რომელიც აფხაზეთს მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა. დღეს ისინი თვლიან, რომ კეთილდღეობის ხანა არ დადგა, რესპუბლიკა კიდევ უფრო მეტად ჩაეფლო შიდა პრობლემებში, ეკონომიკურად უკიდურესად დასუსტდა და სტაბილური მომავლის იმედი წლიდან წლამდე იკლებს. თუ მოსახლეობის 2008 წლის შეფასებებს დღევანდელთან შევადარებთ, უიმედობის მასშტაბები ნათელია.

სოხუმელი მარიას აზრით, რიგითი ადამიანების ყოფაში არანაირი პოზიტიური ცვლილება არ მომხდარა. **„როცა გვაღიარეს, მეგონა, ქვეყანაში ცხოვრება გაუმჯობესდებოდა, რიგითი ადამიანების ყოფა შემსუბუქდებოდა, მაგრამ ჩვენთვის არაფერი შეცვლილა. შესაძლოა, ცალკეული პირები კარგად ცხოვრობენ, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი არიან. რა მოგვცა ამ აღიარებამ — დღემდე ვერ გამიგია“.**

47 წლის საიდი კი საერთოდაც, თვლის, რომ რუსეთი აღიარების შემდეგ აფხაზეთს მიზანმიმართულად ასუსტებს და ის ფაქტი, რომ აფხაზეთი მხოლოდ მის ზეგავლენას დაქვემდებარებულმა სახელმწიფოებმა აღიარეს, „დათვურ სამსახურად“ უნდა, შეფასდეს:

„მეგონა, იქნებოდა რაღაც ცვლილებები, მაგალითად, კანონმდებლობის დახვეწის კუთხით... ზოგადადაც, ბევრს ველოდი ამ აღიარებისგან, მაგრამ თუკი სახელმწიფოს აღმშენებლობა საერთოდ მიდის, ეს ძალიან ნელა ხდება. კარგი მომავლის იმედი კი, რომელიც აღიარებიდან პირველ წლებში არსებობდა, ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად შესუსტდა, მინავლდა. გულწრფელად რომ ვთქვა, აღარ მჯერა, რომ რაიმე შეიცვლება. ის კი არა, დარწმუნებული ვარ, რუსეთს არც სურს, რეალურად დამოუკიდებლები გავხდეთ. და არც თავად ვაკეთებთ რამეს საიმისოდ, რომ აფხაზეთი მუხლებიდან წამოდგეს და მოეშვას რუსეთისთვის ფულის თხოვნას“.

ჩვენი წინა რესპონდენტებისგან განსხვავებით, აფხაზეთში არსებობს ბევრი მოქალაქე, რომელსაც, ყველაფრის მიუხედავად, პოზიტიური შედეგის იმედი აქვს, თუმცა, ისინიც კი თვლიან, რომ კრახისა და ნგრევისგან ქვეყნის ხსნა თავად აფხაზეთის გასაკეთებელი საქმეა და არა დიდი მეზობლის, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით დიდი თავის ტკივილი გაიჩინა.

„საქართველოს მხრიდან პრობლემებს დიდი ხანია, აღარ ველით. რუსეთმა ამაზე იზრუნა, მაგრამ ამას იქით საქმე ჯერჯერობით რატომღაც არ მიდის. ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დასრულდა — რუსეთი ალბათ, სამომავლოდაც გააგრძელებს რამის კეთებას ჩვენი საერთაშორისო აღიარებისთვის, მაგრამ თავადაც უნდა ვიზრუნოთ. მარტო აღიარებით ფონს ვერ გავალთ“, — „დარწმუნებულია ოჩამჩირის მკვიდრი სამსონი. ეს ბევრი „მაგრამის“ შემცველი მცირე კომენტარია. „ეს უარყოფა არ არის, ეს უბრალოდ ეჭვია“, — დასძენს მოხუცი.

მსგავსი ეჭვები გამოსჭვივის იმ რესპონდენტების კომენტარებიდანაც, რომლებიც აღიარების პირველ დღეებს იხსენებდნენ.

„ეს დიდი დღესასწაული იყო. იცით, 30 000-იანი ქორწილის მსგავსი რამ, ოღონდ ალკოჰოლისა და ძვირფასი სუფრის გარეშე. თავისუფლების მოედანზე ხალხი გულის ძახილით გადიოდა. იმ დღეს (2008 წლის 26 აგვისტოს) გვინდოდა გვემღერა, გვეცეკვა, გვემხიარულა და თითოეულს ჩავხუტებოდით — თუნდაც უცნობს. ჩვენთვის ეს მაშინ ახალი ეპოქის ათვლის დღე იყო, ახალი ერის. და ის, რომ ამ მოვლენის მონაწილე ვიყავი, იმედსა და რწმენას მისახავდა“, — იხსენებს 12 წლის წინანდელ მოვლენებს სოხუმის მკვიდრი ანა. მისი თქმით, **„იმ დღეს რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის ხმა ყველაზე ტკბილად ეჩვენებოდათ და სუნთქვაშეკრულები უსმენდნენ. ყველას ბავშვებივით გვახარებდა თითოეული მისი სიტყვა. ვფიქრობდით, რომ იმ დღიდან ყველაფერი კარგად იქნებოდა. მაგრამ თუ პირველ წლებში რაღაც არგუმენტები არსებობდა იმასთან დაკავშირებით, რატომ არ დადგა ჯერ ის ნათელი მომავალი, ახლა საერთოდ აღარ მჯერა, რომ ის ოდესმე დადგება“,** — ამბობს ანა.

მის უიმედობას იზიარებს სტანისლავიც, რომელიც ანას მსგავსად, აღიარების დღეს საზეიმოდ თავისუფლების მოედანზე იყო გასული. **„რუსეთი დაგვეხმარა, მაგრამ ვალდებულები ვართ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ვიქონიოთ. ჩვენ ხომ ისედაც ვიცოდით, რომ საჭიროების შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის დაცვა და განვითარება თავად მოგვიწევდა და რუსეთი ამაში დიდად არ დაგვეხმარებოდა. უბრალოდ, აღიარების დღეს ამაზე ფიქრი, როგორც ჩანს, არ გვსურდა“,** — ამბობს სტანისლავი.

ყველა ჩვენი რესპონდენტი აღიარებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა ბოლო წლებში შეიცვალა, მაგრამ რამდენად — ამის შეფასებები განსხვავებულია. ერთნი თვლიან, რომ ეს ცვლილება სამუდამოა, მეორენი — რომ დროებითი და ურთიერთობები დალაგდება.

„ძალიან მიხარია სამხრეთ ოსეთის ხალხის გამო, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სიტუაციები განსხვავებულია. საუკუნეების მანძილზე აფხაზები იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებას, რუსეთთან კი ყოველთვის კეთილმეზობლური ურთიერთობები გვსურდა. განსხვავებით სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისგან, რომელიც ყოველთვის რუსეთის შემადგენლობაში ისწრაფვოდა, ჩვენ გვსურდა თავისუფლება და დამოუკიდებლობა“, — ამბობს სოხუმელი იური. მისივე აზრით, 2008 წლის 5-დღიანმა ომმა ოსებს „ხელი მისცა — სხვა შემთხვევაში, აფხაზეთისგან განსხვავებით, აღიარებას ვერასოდეს მიაღწევდნენ“. **„ის, რომ აფხაზეთის აღიარების პროცესი შეჩერდა, უკვე მომხდარი ფაქტია. ორი წლის წინ სირიამ გვაღიარა, მაგრამ გაიხსენეთ, როგორი სიჩუმე იყო მანამდე, აღარც შემდეგ მომხდარა რამე. და ფიქრობთ, ამ მხრივ რაიმე სასიკეთო წინ კიდევ გველის? ილუზიებით ცხოვრება უნდა შევწყვიტოთ, უნდა დავიწყოთ ცხოვრება რეალობით, ავიკეცოთ მკლავები და დავიწყოთ — ხაზს ვუსვამ, დავიწყოთ და არა გავაგრძელოთ საკუთარი სახელმწიფოს შენება, არ ვუყუროთ რუსეთს, სამხრეთ ოსეთს, სირიას თუ ვანუატუს“,** — თვლის იური.

„რისი მოცემა შეუძლიათ ჩვენთვის ქვეყნებს, რომლებმაც დღემდე გვაღიარეს? რისი გაზიარება შეუძლიათ მათ ჩვენთვის სახელმწიფოს ხარისხიანი განვითარების, იგივე სახელისუფლებო ინსტიტუტების სრულფასოვანი ფუნქციონირების კუთხით? რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა, სირია, ტუვალუ, ვანუატუ... მათ ხომ საკუთარ ქვეყნებში ვერ დაუმყარებიათ წესრიგი და ვერ ამობობღებულან ჭაობიდან, ჩვენ კი მათთან რაღაც ურთიერთქმედებაზე ვსაუბრობთ! არ გვესმის, რომ რუსეთს მაშინ მხარდაჭერა სჭირდებოდა და ამ ქვეყნების მხრიდან ჰპოვა?! — ეს იყო მათი აღიარება, სხვა არაფერი! ხელმოწერილი შეთანხმებების უკან სიცარიელეა და არც მომავალში იქნება რამე“, — დარწმუნებულია პედაგოგი ტატიანა.

12 წელი აღიარებიდან. აფხაზები რუსეთთან ურთიერთობებში აშკარა ცვლილებებს გრძნობენ. მშვიდობისა და თანხმობის ადრინდელი ატმოსფერო აღარ სუფევს. შესაძლოა, თავად ქვეყანაში არსებული რთული ვითარების, შესაძლოა, დასავლეთთან კონფრონტაციის გამო. რუსეთი აფხაზეთში თავის გავლენას სულ უფრო ზრდის, პარალელურად კი დაპირებული დახმარების მასშტაბებს ამცირებს.

თუმცა, შესაძლოა, ყოველთვის ასე იყო, გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე კი მას უბრალოდ დასჭირდა, დაერწმუნებინა ორი ხალხი და მთელი მსოფლიო თავის გულწრფელ მეგობრობაში.

მასალა მომზადებულია ახალი ამბების სააგენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოში ჩეხეთის საელჩოს დაფინანსებით ხორციელდება.

ემიგრანტებმა სამშობლოში თანხების გადმორიცხვისთვის მოიცალეს!

ფულადი გზავნილები მატულობს

ივლისში ფულადი გზავნილების მოცულობა გასული წლის ივლისთან შედარებით 22.1%-ით გაიზარდა (34.2 მლნ აშშ დოლარით) და 188.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პანდემიის დროს დიდი შემცირების შემდეგ, ბოლო ორი თვეა გზავნილების მოცულობა მატულობს, რაც ძირითადად, ერთი ფაქტორითაა განპირობებული. ემიგრანტებმა მხოლოდ ზაფხულის თვეების პერიოდში მოახერხეს საქართველოში თანხების საბანკო არხებით გადმორიცხვა.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 94.6% იმ 18 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ივლისში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 18 ქვეყანაზე გასული წლის ივლისში მთელი ფულადი გზავნილების 93.4% მოდიოდა.

2020 წლის ივლისში საქართველოდან საზღვარგარეთ 22.2 მლნ აშშ დოლარი (68.1 მლნ ლარი) გადაიგზავნა, რაც 2019 წლის ივლისის (19.2 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15.6%-ით მეტია. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის აზრით, წინა თვეებში დაწესებულმა შეზღუდვებმა ახლა მოიტანა განსხვავებული შედეგი.

ფულადი გზავნილების ზრდის ტენდენცია გრძელდება. ივნისში 17.8%-ით ზრდის შემდეგ, ივლისში წლიური ზრდა 22.1% იყო. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ პანდემიამდე ფულადი გზავნილების გარკვეული ნაწილი (საბანკო გზავნილების დაახლოებით 8%) საქართველოში არასაბანკო არხებით, ვიზიტორების მეშვეობით, შემოდიოდა. საერთაშორისო მოგზაურობის შეზღუდვის გამო, გზავნილების ამ ნაწილმა საბანკო არხებში გადაინაცვლა და, შედეგად, ფულადი გზავნილების აღნიშნულ ზრდაშიც შეიტანა წვლილი.

საყურადღებოა ისიც, რომ ერთი თვის განმავლობაში 189 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც 1 თვის რეკორდია. არასდროს ერთ თვეში ამდენი (დეკემბერშიც კი) არ შემოსულა.

გარდა ამისა, რუსეთის წილი 25%-დან 21%-მდე შემცირდა. ყველაზე მეტად ფულადი გზავნილების ზრდა ივლისში აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან აღირიცხა. აზერბაიჯანიდან ივლისში საქართველოში გადმოირიცხა 6.03 მილიონი დოლარი, რაც მთლიანი ფულადი გზავნილების 3.19%-ია, თუმცა წლიური ზრდის ტემპი 185.59%-ია. რაც შეეხება უკრაინას, ამ ქვეყნიდან ფულადი გზავნილების წლიური ზრდა 147.10%-ს უტოლდება. უკრაინიდან ივლისში საქართველომ მიიღო 9.79 მილიონი დოლარი, რაც მთლიანი ფულადი გზავნილების 5.19%-ს შეადგენს. საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან ივლისში 73.79 მილიონი დოლარი გადმოიგზავნა. ეს მთლიანი გზავნილების 39.10%-ია. ევროკავშირიდან ფულადი გზავნილების ივლისის მაჩვენებლის წლიური ზრდის ტემპი 24.97%-ს გაუტოლდა.

ეკა ბაქრაძე

ᲡᲐᲛᲖᲔᲝᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ



ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ულამაზეს ქალაქ სენაკის ხსენებაზე ყოველთვის ბავშვობისდროინდელი მოგონებები წამოტივტივდება ხოლმე — როგორ მივდიოდით მთელი ოჯახი ჩემს დედულეთში, ჩხოროწყუში: აუცილებლად მაშინდელ ცხაკაიაში უნდა ჩავსულიყავით და იქიდან ძველი, ოღროჩოღროებში, ვინ იცის, რამდენჯერ ავლა-ჩავლისგან თითქმის მწყობრიდან გამოსული ავტობუსით უნდა გაგვეგრძელებინა გზა. მძღოლი ჩვენი ახლო ნათესავი კი იყო, მაგრამ რა უნდა ექნა — ავტობუსი ყოველთვის მგზავრებით სავსე გვხვდებოდა. თუმცა ამ კუთხის ადამიანების ზრდილობისა და თავაზიანობის წყალობით მე, ჩემს უმცროს დასა და დედაჩემს დასაჯდომი ადგილი ყოველთვის გარანტირებული გვქონდა, მამა კი ფეხზე იდგა.

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲣᲞᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ახლაც ვფიქრობ, სად და როგორ ეტეოდა ამდენი ხალხი ამ ერთ ციდა ავტობუსში. თან, სანამ ქალაქს გასცდებოდა, სულ ცოტა, ათჯერ მაინც გააჩერებდა. ავტობუსი სავსე იყო ყუთებით, ბაზარში ნავაჭრი საქონლით, ფქვილის ტომრებით, წიწილებით. ქალაქიდან გასული შეუყვებოდა აღმართს და ფანჯრიდან ულამაზესი ხედი იშლებოდა — მწვანეში ჩაფლული ერთმანეთზე მიჯრით მიყოლებული სახლების წითელი სახურავები, რკინიგზის სადგური, კანტიკუნტად მანქანები და, რაც უფრო მაღლა მივიწევდით, ცხაკაიაც პატარავდებოდა.

ახლა მას სენაკი ჰქვია, ოდითგანვე ასე ერქვა სალოცავ ადგილად წოდებულ დიდი ისტორიის ქალაქს, რომელიც კომუნისტებმა მიხა ცხაკაიად მონათლეს მგზნებარე რევოლუციონერის პატივსაცემად. სწორედ ამ ქალაქის ღირსეულ ადამიანებზე ახლახან გამოვიდა შესანიშნავი, უხვად ილუსტრირებული, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წიგნი „სენაკის საპატიო მოქალაქეები“, რომლის შექმნაშიც მართლაც ტიტანური შრომა ჩადეს სენაკის საპატიო მოქალაქეებმა, ამ კუთხის მკვიდრებმა — ბატონებმა ანზორ ცაგურიამ და ვაჟა დანელიამ. ამ ორი პიროვნების შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, მანამ კი თავს უფლებას მივცემ, ჩემი ლამაზი ქალაქის იმ პატივსაცემ ხალხზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა, რომლებმაც არა მარტო სენაკის, არამედ საქართველოს აღმშენებლობასა და წინსვლაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

ეს საპატიო წოდება 32 წლის წინათ დაწესდა და დღემდე ასამდე, არ მოვერიდები ამ სიტყვის თქმას, მამულიშვილს მიენიჭა. მართლაც გამორჩეული პიროვნება უნდა იყოს, რომ ამ უძველესი, ეგრისის მიწაზე ანტიკური ხანიდან მოყოლებული რომ ანცვიფრებს მსოფლიოს თავდადებით, განათლებით, ბრძოლითა და უძველესი ისტორიით, გამოგარჩიონ და საპატიოდ შეგრაცხონ. მრავალ ქარტეხილს გაუძლო კოლხეთის მიწამ. აღარ არიან ის უძველესი მომხდურნი, რომელთა ხსენებაც შიშის ზარს სცემდა მაშინდელ მსოფლიოს, სამაგიეროდ, დღემდე მყარად დგას ფეხზე და სამარადჟამოდ იარსებებს ეს კუთხე თავისი გმირი, ერთგული, უნიჭიერესი და მამაცი ხალხის წყალობით.

ვათვალიერებ ამ შესანიშნავ წიგნს და სიამაყის გრძნობა მეუფლება — ამ საპატიო ხალხთან, ჩემი პროფესიის წყალობით, როგორი ახლო ურთიერთობა მქონია, ბევრთან დღესაც ვმეგობრობ, ბევრი ზეციურ საქართველოში გადასახლდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა გავიგე, რომ ისინი ძირძველი სენაკელები ყოფილან. ახლა გავიგე, რადგან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობდნენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არასოდეს დავიწყებიათ ოდაბადე და უამრავი რამ გაუკეთებიათ მშობლიური ქალაქის აღმშენებლობისთვის.

ბედნიერი ვარ, რომ ვმეგობრობდი და ვმეგობრობ ბორის წიფურიასთან, ჯემალ აჯიაშვილთან, გურამ ბათიაშვილთან, გენო კალანდიასთან, დიმა ჯაიანთან, გოგი დოლიძესთან, რეზო ადამიასთან, ნოდარ ჯალაღონიასთან, გურამ ოდიშარიასთან, დემურ გადელიასთან, ვასილ ბესელიასთან, ვახტანგ დავითაიასთან, ვაჟა დანელიასთან.

შემთხვევითი არ არის, რომ წიგნი იწყება საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მშობლების გახსენებით. ისინი განსაკუთრებული ღვაწლით ემსახურებოდნენ სენაკის კულტურისა და განათლების სფეროს. წიგნის ავტორებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მართლაც ტიტანური შრომა ჩადეს, რათა თაობებს გადასცენ, თუ როგორი ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს ამ ლამაზ კუთხეში. ასამდე ბიოგრაფია, მოგონება, არც ერთი ზედმეტი ქება და დიდება, ყველასთვის მისხალ-მისხალ მიგებული სამადლობელი იმ მამულიშვილური, დაუღალავი შრომისა და წვლილისთვის, რაც მათ მიუძღვით მშობლიური ქალაქის მიმართ.

ბატონი ანზორ ცაგურია პროფესიით ინჟინერია, ძირძველი სენაკელი, 1996-1998 წლებში ქალაქის პირველი მერი გახლდათ, მერე — ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი, უდიდესი წვლილი მიუძღვის სენაკისა და სენაკელების წინაშე, ხუთი თი-

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲪᲐᲒᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

თივით იცნობს მთელ რაიონს, იცის თანაქალაქელთა გასაჭირიც და სიხარულიც. იგი ამჟამად საზოგადოება „სენაკელის“ თავმჯდომარის მოადგილე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მთავარი სპეციალისტია სპორტისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში.

ამიტომაც ყველა მოგონება, რომლითაც ეს წიგნია შედგენილი, გულითა და კომპეტენტურობით, უშუალობითაა დაწერილი. ცდილობდა ბატონი ანზორი, რომ არც ერთი თანაქალაქელის ღვაწლი არ დაეკარგა და შეძლებისდაგვარად, როგორც ასეთ ენციკლოპედიურ და სამაგიდო წიგნს შეჰფერის, სრულყოფილი გაეხადა ის. ასეთივე დიდი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმითა და საქმის ღრმა ცოდნითაა შექმნილი მისი წიგნები „სენაკი“ და „სენაკი ჩემპიონთა საბუდარი“.

რაც შეეხება ამ შესანიშნავი წიგნის მეორე ავტორს ბატონ ვაჟა დანელიას, იგი ქართველი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი მოთხრობებითა და ლექსებით, აგრეთვე, სპორტის თემაზე გამოცემული 14 წიგნით, გახლავთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ილიაუნსა და სეუ-ში.

ყველას მოეხსენება, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ნებისმიერი წიგნის გამოცემა, მით უმეტეს - ამგვარი სოლიდური ნაშრომისა. ეს არა მარტო ფინანსურ, არამედ მორალურ მხარდაჭერასაც მოითხოვს. სწორედ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ ლევან კუპრეიშვილის დამსახურებაა, რომ მკითხველმა ეს შესანიშნავი წიგნი იხილა — სამზეოზე გამოვიდა სენაკის საპატიო მოქალაქეთა ნაამაგარი.

„როგორც წყლის წვეთში შეგიძლია დაინახო მთელი ოკეანე, ასევე, ამ წიგნში აღწერილ ადამიანთა ცხოვრებით შეიძლება გაიგო, როგორი გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა სენაკის მუნიციპალიტეტი წლების განმავლობაში, რომელსაც ეს ადამიანები სხვებთან ერთად ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან“, — ბრძანებს ბატონი ლევან კუპრეიშვილი ამ წიგნის შესავალ წერილში. ეს თქვენი დამსახურებაა ბატონო ლევან, რომ ხალხის დაფასება და მათი ღვაწლის დანახვა ძალგიძთ და ამ წიგნის გამოცემით მართლაც სტიმულს აძლევთ თანაქალაქელებს, რომ ამგვარად იღვაწონ, რათა ამ რჩეულ მამულიშვილებს კიდევ ბევრი დაემატოს.

ყოველ წელიწადს „ეგრისობაზე“, ტრადიციულად ქცეულ სახალხო დღესასწაულზე, კვლავ დასახელდებიან საპატიო სენაკელები, გავა წლები და საჭირო გახდება ახალი, შევსებული, ამგვარი წიგნის გამოცემა, რადგან სამშობლოსა და თავიანთ ქალაქზე შეყვარებულ და თავდადებულ ადამიანებს რა გამოლევს უძველესი ეგრისის მიწაზე.

* * *

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ წინანდელი მოგონებით დავიწყე ეს წერილი, დიდებული წიგნის წარდგინება. ახლა ბევრჯერ ნაკლებ დროში მიხდება დედულეთამდე ჩასვლა, დედაქალაქიდან პირდაპირ დადის ტრანსპორტი ჩხოროწყუმდე და თანაც დღეში რამდენიმე, მაგრამ სენაკს გაცილებული, როდესაც აღმართს შეუყვება მოასფალტებული გზა, მაინც პატარა ბავშვივით გავხედავ ხოლმე ამ ლამაზ, კოპწია ქალაქს, ისევ ბავშვობის წლებში ვბრუნდები. ახლა უფრო დიდხანს დავაკვირდები, აქ ხომ ჩემი უძვირფასესი მეგობრების ოდაბადეა, რომელთა სიყვარულითაც სუნთქავს ეს კუთხე...

აქ ხომ მშრომელი, სამშობლოზე მოფიქრალი და თავდადებული ხალხი ცხოვრობს.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ



ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ

19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ფერისცვალებას, რომელიც არის უფლის ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

...უფალმა იესო ქრისტემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ადამიანები რწმენით განემტკიცებინა. მან ამოირჩია პეტრე, იაკობი და იოანე და თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად.

მაცხოვარს სურდა, მოციქულთათვის ეჩვენებინა იმ ზომით, რა ზომითაც მათ შეეძლოთ ამის დატევა, რათა შემდგომ განსაცდელისა არ დაბრკოლებულიყვნენ, თანაც დარწმუნებული იყვნენ, რომ ვინც სულიერად არ ამაღლდება, ის ვერც ღვთაებრივი დიდების ხილვის ღირსი გახდებოდა.

აღსანიშნავია ის, რომ ფერისცვალებით უფალმა გვიჩვენა, თუ როგორი იქნებიან ის ადამიანები მომავალ ცხოვრებაში, ცათა სასუფეველში, თუ როგორ გარდაისახება ჩვენი მიწიერი ყოფა სამომავლოდ.

...თაბორის მთაზე ლამაზი არა არის რა, მარტო დგას იგი უდაბნოში, ნაზარეთიდან შვიდიოდე კილომეტრის მოშორებით, ათასგვარი ხეებითა და კეთილსურნელოვანი ყვავილებით დაფარული, როგორც საკვირველი დასაგები ფეხქვეშ დიდებით ფერშეცვლილი უფლისათვის — სწორედ ამ ადგილას იცვალა სახე უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

მინაწერი: ფერისცვალების დღესასწაულზე ყურძნის და სხვა ხილის (ნაყოფთა) კურთხევაა.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

„ცეცხლთან თამაში იწვევს ხანძარს“ — საბჭოთა პერიოდში, თერთმეტსართულიანი სახლის სახურავზე გადაჭიმულ ამ რეკლამას, თითქოს არაფერი აკავშირებს თანამედროვე პოლიტიკასთან, მით უმეტეს, ბელარუსში მიმდინარე პროცესებთან. მაგრამ ეს, ერთის შეხედვით. სიღრმისეულად თუ გავაანალიზებთ ამ სხარტ გამოთქმას, ბევრ საერთოს ვიპოვით პოლიტიკასთან, ბელარუსის, სხვა ქვეყნების მოვლენებთან, მაგალითად იუგოსლავიის, ერაყის, ლიბიის, საქართველოს, მოლდოვას, უკრაინის, სირიის, ეგვიპტის, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების რუსეთის...

ყველა მათგანმა საკუთარ თავზე იწვნია ამ გამოთქმის სიმწარე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვითარცა მაზოხიზმით გატაცებულები, ისევ იმ სახის შეცდომებს უშვებენ, ხანძარს რომ იწვევს. ვის-ვის და ბელარუსის პოლიტიკურ ხანძარს, თანაც ამ მასშტაბის რომ ვერავინ წარმოიდგენდა, ფაქტია. დამოუკიდებლობის შემდეგ, სხვათა შორის, იმ დამოუკიდებლობის, რომელსაც ბელარუსის ბელოვეჟის ტევრში ჩაეყარა საფუძველი რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის პრეზიდენტების მიერ, განვლილი თითქმის 30 დამოუკიდებელი წლის განმავლობაში, ბელარუსს, როგორც „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციების შემოქმედს, არასდროს მიუპყრია საერთაშორისო საზოგადოების ცხოველი ყურადღება.

ქვეყანას მართავდა სამეურნეო საქმეებში გამოცდილი პიროვნება, რომელიც განვლილი საბჭოური ცხოვრებისა და გამოცდილების ბაზაზე, აშენებდა ახალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას. და აშენებდა საკმაო წარმატებით. მან მოახერხა თითქმის ათმილიონიანი ქვეყნის დარაზმვა, ძველი გამოცდილების გამოყენება და ყოფილ საბჭოთა სივრცეში ისეთი ქვეყნის ჩამოყალიბება, რომლის ბედს ბევრი შეეხაროდა.

ლუკაშენკომ არ მიბაძა უკრაინას, სხვა მეზობლებს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს და ჯართად არ გაყიდა თავის ქვეყანაში არსებული ფაბრიკა-ქარხნები. მან „დღევანდელი კვერცხის ნაცვლად ძათამზე იფიძრა“ და დაჟინებით დაიწყო რუსეთთან გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირების აღდგენა-გაფართოება, რაც ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა. მიზეზი სირთულისა იყო მარტივი — ელცინის რუსეთის პროდასავლური ორიენტაცია. ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ქონების მიტაცება, გიგანტი საწარმოების პრივატიზაცია და უცხოეთში ჯართად გაყიდვა, სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტების უცხოელებზე მიზერულ ფასში მიყიდვა, სამხედრო და სამოქალაქო ფლოტში არსებული გემების ჩამოწერა და გაყიდვა და ა.შ.

ლუკაშენკომ — პოლიტიკაში ნაკლებად გარკვეულმა კაცმა, მოახერხა რუსეთის ხელისუფალთა დაგულისყურება და იმ საწარმოების ამუშავება, რომლებიც მჭიდროდ იყო რუსეთის მრეწველობასთან დაკავშირებული.

რუსეთის ხელისუფლებაში პუტინის გამოჩენამდე, ლუკაშენკოს უკვე აწყობილი ჰქონდა არა მარტო ბელარუსულ-რუსული ერთობლივი მრეწველობა, არამედ სოფლის მეურნეობაც. ბელარუსმა გააგრძელა ტრაქტორების, უზარმაზარი სატვირთო ავტომანქანების, ჩარხების, სხვა სამრეწველო ნაწარმის წარმოება და რუსეთის ბაზარზე გაყიდვა.

აღორძინებულმა სოფლის მეურნეობამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რუსულ ბაზარზე გაჩნდა რძე და რძის ნაწარმი, ბელარუსული ხორცხორაგი, ხილი და ბოსტნეული.

მოხერხებული, მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ბელარუსის ნაწარმი გავიდა დსთ-ს ქვეყნებში, ჩინეთში, თურქეთში, სხვაგან. ბელარუსი გადაიქცა პოსტსაბჭოთა დროს ყველაზე განვითარებულ და წარმატებულ ქვეყნად — კარგი ხელფასებით, პენსიებით, სოციალური უზრუნველყოფით, უმუშევრობისა და გაუფასურების დაბალი დონით.

ბელარუსის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა და შეაქვს რუსეთს. იაფი სათბობ-ენერგეტიკული ნაწარმის შეღავათიან ფასებში მიწოდების თვალსაზრისით, ბელარუსის ქარხნებისთვის შესაბამისი დეტალების დამზადებით და მიწოდებით. ბელარუსი გადაიქცა დსთ-ს, ევრაზიული კავშირის ავტორიტეტულ წევრად, ხოლო პრეზიდენტი ლუკაშენკო აღმოსავლეთ ევროპის თვალსაჩინო პოლიტიკოს-ლიდერად.

ყოველივე აღნიშნულს ხელს უწყობდა რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირი, რაც ნეგატიურ განწყობას უქმნიდა აშშ-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. ბელარუსის წარმატება დასავლეთმა სხვაგვარად შეაფასა — მისთვის შესაფერისად. ბელარუსს რუსეთის ბაღჩა უწოდა, ხოლო ლუკაშენკოს — ევროპის უკანასკნელი დიქტატორი, რასაც ცხადია, ამაგრებდა ყველა საპრეზიდენტო არჩევნებში ლუკაშენკოს მაღალპროცენტიანი გამარჯვება.

დიქტატორის იმიჯის შესაცვლელად ლუკაშენკომ არათუ მოადუნა ოპოზიციისთვის ამოდებული ლაგამი, არამედ დაპატიმრებული ოპოზიციონერები ციხიდან გაათავისუფლა და ნელ-ნელა ხელი მიჰყო დასავლეთთან პოლიტიკურ ფლირტს.

დასავლეთთან ჩახუტების პროცესი, რუსეთთან დაპირისპირების გარეშე, რომ შეუძლებელია, ყველამ კარგად იცის, მაგრამ ყველა (მხედველობაში მყვანან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები) ფიქრობდა და ფიქრობს, რომ მოახერხებს ორ სკამზე ჯდომას. გახსოვთ ალბათ, როდესაც უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ხელი არ მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და თხოვნით მიმართა მას რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაგრძელებისთვის, ევროკავშირის შეფმა ბაროზუმ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განუცხადა — „ან — ჩვენ, ან — ის“.

დასავლეთისთვის მიუღებელია ბრიუსელ-ვაშინგტონს შუა რუსეთის ჩაკვეხება, ანუ თუ პროდასავლელი ხარ, ასეთად უნდა დარჩე. პროდასავლურობა და პრორუსულობა ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია, თუმცა არა ლუკაშენკოსთვის, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ყველაზე ჭკვიანი პოლიტიკოსია.

მისი განმარტებით, ქვეყანა გზაჯვარედინზეა, რაც ყველასთან კარგ ურთიერთობას მოითხოვს. ამას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის (ამ შემთხვევასი რუსეთს) პოლიტიკურ დაპირისპირებას ადგილი არა აქვს, მაგრამ, როდესაც დაპირისპირება, თავისი მასშტაბებით „ცივი ომის“ დროს აჭარბებს, **„ყველასთან კარგი ურთიერთობის მოსურნეს“** — (ამ შემთხვევაში ლუკაშენკოს) კარგი არაფერი დაადგება.

ლუკაშენკოს „პროდასავლურ“ ლტოლვას კბილი ჯერ ბოლტონმა მოუსინჯა, შემდეგ პომპეომ.

პირველი — პრეზიდენტი ტრამპის მრჩეველობის ჟამს ესტუმრა ბელარუსს, მეორე რამდენიმე თვის წინათ. ორივემ დაპირებების მთები აუგეს ლუკაშენკოს — ოღონდ ჩვენი იყავი და ყველაფერში დაგეხმარებითო, უთხრეს მათ.

დაპირებამ არათუ გაათამამა ლუკაშენკო, არამედ გააუხეშა კრემლთან დიალოგში. ვერ მოზომა, ვერ შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები. ვერ დაინახა დასავლელთა მზაკვრობა. მათი **„ღიმილი“** — სარკასტული, ირონიით გაჟღენთილი, კეთილად მიიღო და ისეთ გზას დაადგა, როგორც ეგვიპტის პრეზიდენტი მუბარაქი, ლიბიის ლიდერი კადაფი, ერაყის პრეზიდენტი ჰუსეინი, საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე, იუგოსლავიის პრეზიდენტი მილოშევიჩი, უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩი...

პროცესი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა მის დასრულებას არაფერი აკლია. ვშიშობ, ხელისუფლებიდან ძალით გაგდებული ზემოჩამოთვლილი და სიცოცხლემოსწრაფებული (გარდა იანუკოვიჩისა) პრეზიდენტების მძიმე ბედი არ გაიზიაროს ლუკაშენკომ. ასე იცის „ცეცხლთან თამაშმა“.

ლუკაშემკომ ვერ გამოიცნო მარტივი ჭეშმარიტება, რომ დასავლური ღიმილი, მხარზე ხელის მოთათუნება, ცუდის მომასწავებელია. მას არაფერი აკავშირებს ურთიერთგაგებასთან, ქვეყანაში განხორციელებულ წარმატებულ ეკონომიკურ პროექტებთან, უმუშევრობასთან და სხვა მრავალთან — ხალხის ყოფას რომ აუმჯობესებს. მათთვის ლუკაშენკო არც მშენებელია და არც ხალხის დამპურებელი. ის დიქტატორია, ადამიანის უფლებების დამრღვევი, ოპოზიციის დამთრგუნველი საშინელი ურჩხული, რომელიც უნდა წავიდეს.

რა გამოდის — კაცმა, რომელმაც არჩევნები 80%-ით მოიგო, უნდა წავიდეს? გააყალბაო, ერთხმად გუგუნებს ევროატლანტიკური სივრცე. კეთილი, მაგრამ რა ვუყოთ მაღალ პროცენტს?

დავუშვათ, მან არა 80%-ით, არამედ 51%-ით მოიგო, ხომ მაინც მოიგო? 51% ხომ მეტია, ვიდრე ოპოციზიონერ ტიხანოვსკაიას 10%? მაგრამ ვინ უგდებს ყურს? არც არავინ. ვინც უნდა უგდებდეს, სხვაგვარად ფიქრობს და ხელსაყრელ დროს ხელიდან არ გაუშვებს ლუკაშენკოს გასაგდებად. ასე ფიქრობენ ლიტვის, ბალტიისპირა სახელმწიფოების, პოლონეთის, სხვა ქვეყნების ლიდერები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები.

ახალი არჩევნებიო — აცხადებენ ისინი და მოუწოდებენ ერთ მუჭა ბელარუს ოპოზიციას აქტიურობისა და გაფიცვებისკენ. რა ჰქვია ასეთ დასავლურ პოლიტიკას, თუ არა ძალით, ლეგიტიმურის დამხობა და დასავლეთში ნაწრთობი ბიჭბუჭების ხელისუფლებაში მოყვანა?!

დასავლურმა „დემოკრატიამ“ უკვე მერამდენედ ჩაისვარა, მაგამ სამწუხაროდ ვერ ვხედავთ, ვერ ვაკეთებთ შესაბამის დასკვნებს. ისტორიულ მაგალითებს კი არა, ჩვენსავეს არ ვსწავლობთ. განა სააკაშვილი, ვიწრო ოპოზიციური ძალების რევოლუციური გამოხდომის წყალობით არ დაგვასვეს თავზე? ვინ იზარალა? ქვეყანამ და მისმა ხალხმა.

განა იანუკოვიჩი მცირე რაოდენობის პროფაშისტურმა ძალებმა არ დაამხეს?! ვინ იზარალა და ზარალობს? უკრაინა და მისი ხალხი. ქვეყანა მიწასთან გასწორდა. ერთ დროს აყვავებული საბჭოთა უკრაინა მათხოვარს დაემსგავსა. ექსპერტების გათვლით უკრაინას 40 წელი დასჭირდება იანუკოვიჩის დროინდელ ეკონომიკას რომ მიაღწიოს.

დანგრეულია ჩრდილო აფრიკის სახელმწიფო ლიბია — თავისი ცხოვრების დონით გამორჩეული. მისი ლიდერი, სასტიკი წამებით მოკლული. სამოქალაქო ომით განადგურებული ლიბია მსოფლიოს თავსატკივარია. ვინ მოანყო ყოველივე თუ არა დემოკრატიულად წოდებულმა ევროპამ და ჩვენმა „საყვარელმა“ ნატომ?

აღარაფერს ვამბობ დაქუცმაცებულ იუგოსლავიაზე, გაპარტახებულ ერაყზე ან სხვაზე. ასე იცის დასავლურმა დემოკრატიამ, დამანგრეველმა და კაცთმოძულემ, უსამართლომ და დიქტატურისკენ გადახრილმა.

ევროატლანტიკური დემოკრატია, ფარული თუ ღია აგრესიის გზით ცდილობს უპირველესი მტრის, რუსეთის დამარცხებას, რისთვისაც მილიონებს არ ზოგავს. მათთვის მიუღებელია ლგბტ მოძულე ქვეყანა, გეი-პარადების კატეგორიული მოწინააღმდეგე, ტრადიციული ოჯახის მიმდევარი, დასავლური „ღირებულებების“ არგამზიარებელი, კონსტიტუციაში ოჯახის ცნების (ქალისა და მამაკაცის კავშირის) ჩამწერი. ასეთი ქვეყანა ისე უნდა გარდაიქმნას, როგორც ბალტიისპირა ქვეყნები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. ის ამერიკულ ცხოვრების წესს უნდა ეზიაროს და ა.შ.

და როდესაც დასავლეთი, მიუხედავად რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების მოქრთამვისა, ამას ვერ ახერხებს, ცდილობს, იერიში მიიტანოს რუსეთის ირგვლივ მდებარე ქვეყნებზე — ჯერ ისინი გადააგვაროს, შემდეგ რუსეთი.

30 წლის განმავლობაში დასავლეთმა მოახერხა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების იდეოლოგიური მოწამლვა და მათი რუსეთთან ისეთი დაპირისპირება, უარესს რომ ვერავინ იფიქრებდა. უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, თუნდაც სომხეთი, სადაც რევოლუციის გზით და არა არჩევნების, ქვეყნის სათავეში აღმოჩნდნენ სოროსელი ყმაწვილები — სახელმწიფოს მართვის ანბანის უცოდინარნი, გამოუცდელნი, მაგრამ დასავლური აზროვნების მატარებელნი.

„სომხეთის „მაიდანის“ გზით ხელისუფლების სათავეში მისული პრემიერ-მინისტრი ფაშინიანი ატარებს რუსეთისადმი ღია არამეგობრულ პოლიტიკას, ნიშნავს რა მაღალ თანამდებობებზე გამოუცდელ ახალგაზრდებს, ნაცვლად იმ პროფესიონალებისა, რომლებიც რუსეთთან მეგობრობაზე იყვნენ ორიენტირებულნი.“ — აცხადებენ სომეხი პოლიტოლოგები.

რუსეთთან ყოფილი საბჭოთა სივრცის დაპირისპირების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი პოლონეთია, რომელიც გარდა იმისა, რომ მეტიჩარა მოწაფის მსგავსად ცდილობს, პირნათლად შეასრულოს ვაშინგტონის დავალებები, თავისი ამბიციებიც აწუხებს — დიდი პოლონეთი, თუ მთელი არა ნახევარი უკრაინისა და ბელარუსის ტერიტორიებით მის შემადგენლობაში — ბალტიის ზღვიდან, შავ ზღვამდე გადაჭიმული.

ევროკავშირის ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის ისეთ ანტირუსობას, როგორსაც პოლონეთი. მისი ყველა ნაბიჯი მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. ერთ-ერთია ახალი გაერთიანება „ლიუბლინის სამკუთხედი“, რომელშიც პოლონეთთან ერთად შედიან ლიტვა და უკრაინა. ვარშავაში იმედი აქვთ, რომ ამ „სამკუთხედს“ მალე შეუერთდებიან ლატვია, მოლდოვა და ბელარუსი.

ვაშინგტონი პოლონეთს და ამ ახალ „სამკუთხედს“ კეთილი თვალით უყურებს, რაც გამოჩნდა კიდევაც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პომპეოს ვარშავაში ვიზიტის დროს. „ლიუბლინის სამკუთხედი“ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ერთობლიობას, რაც მისაღებია ვაშინგტონისთვის, ისე, როგორც მისი დაპირისპირება რუსეთთან.

„სამკუთხედი“ რუსეთისთვის ახალი პრობლემისა და თავის ტკივილის საწინდარია, მით უმეტეს იმ ჭრილში, როდესაც ბელარუსის გადაბირების საკითხი აქტუალური ხდება. ეს თემა უდავოდ გაფართოვდება და რეალურიც გახდება ლუკაშენკოს პრეზიდენტობიდან გადადგომისთანავე. სწორედ ამით არის განპირობებული პოლონეთის, ლიტვის, უკრაინის აქტიურობა ბელარუსის მოვლენებთან მიმართებაში.

„ლიუბლინის სამუკუთხედის“ გამოჩენა იდეოლოგიურადაც ანტირუსულია. ის ხაზს უსვამს რუსებისგან პოლონელების, უკრაინელებისა და ბელარუსების განსხვავებულობას.

რუსეთის წინააღმდეგ ახალი შეტევა დაწყებულია. ბრძოლის ველად ამჯერად ბელარუსია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

გუშინწინ ბელარუსში ჩვენი ელჩი გაემგზავრა!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოდან 16 აგვისტოს ბელარუსში განხორციელებულ ფრენაზე განმარტებას აკეთებს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია ნათქვამი, ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვალერი კვარაცხელია 6 აგვისტოდან იმყოფებოდა საქართველოში და ბოლო დღეებში ბელარუსის რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენების გამო საჭირო გახდა მისი მყისიერი დაბრუნება მინსკში.

გამომდინარე იქიდან, რომ ბელარუსთან შეზღუდულია საჰაერო მიმოსვლა და ელჩი საჭიროებდა მოკლე დროში მინსკში ჩასვლას, მიღებულ იქნა გადაწყვეყილება მისი სამთავრობო თვითმფრინავით გამგზავრების შესახებ. ბელარუსის რესპუბლიკა არის საქართველოს მეგობარი ქვეყანა, რომელთანაც გვაკავშირებს მჭიდრო თანამშრომლობა, როგორც ორმხრივ ფორმატში, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში.

ასე რომ, მიშავიზიების მიერ გავრცელებული ყოველგვარი ინფორმაცია, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჭორი და ტყუილია!

„ვიდრე არ მომკლავთ, სხვა არჩევნები არ გაიმართება“



ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ქვეყანაში განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება კატეგორიულად გამორიცხა.

„არასამართლიან არჩევნებზე საუბრობთ და სამართლიანი არჩევნების ჩატარება გსურთ? გპასუხობთ ამ კითხვაზე: ჩვენ არჩევნები უკვე ჩავატარეთ. ვიდრე არ მომკლავთ, სხვა არჩევნები არ გაიმართება“, — განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ. მან ასევე აღნიშნა, რომ ბელარუსში ძალაუფლების გადანაწილება საკონსტიტუციო პროცესის ფარგლებში უნდა მოხდეს და არა ქუჩებში გამართული აქციებით. ბელარუსის პრეზიდენტობის ოპოზიციონერმა კანდიდატმა სვეტლანა ტიხანოვსკაიამ კი განაცხადა, რომ მზად არის ეროვნული ლიდერი გახდეს.

„მზად ვარ, პასუხისმგებლობა ავიღო და ეროვნული ლიდერის როლი ვიკისრო, რათა ქვეყანაში ვითარება დაწყნარდეს და ნორმალურ რიტმს დავუბრუნდეთ“, — განაცხადა სვეტლანა ტიხანოვსკაიამ ვიდეომიმართვაში. მან ბელარუსის ხელისუფლებას ასევე მოუწოდა, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ პოლიტპატიმრები და საკანონმდებლო ბაზა მოამზადონ ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მიზნით. 16 აგვისტოს მინსკში ანტისახელისუფლო მსვლელობებში მონაწილეობა 200 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო. საპროტესტო აქციები გაიმართა ბრესტში, გროდნოსა და ქვეყნის დიდ ქალაქებშიც.

მასობრივი საპროტესტო გამოსვლები ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადებას მოჰყვა, რომლის მიხედვითაც, ლუკაშენკომ ხმათა 80 პროცენტი მიიღო. დემონსტრაცია სამართალდამცველებმა ძალის გამოყენებით დაშალეს, რის შედეგადაც 2 ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა. ლუკაშენკოს გადადგომასა და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გადახედვას უკვე მერვე დღეა, ითხოვენ. საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადებით, ევროკავშირმა ბელარუსის მოსახლეობის მხარდაჭერა უნდა გააგრძელოს.

რუსეთი ლუკაშენკოს უჭერს მხარს

რუსეთი ბელარუსს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დახმარებას პირველი თხოვნისთანავე აღმოუჩენს, — ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენომ თავდაცვის სამინისტრის სტატეგიული სამმართველოს ცენტრში გამართულ თათბირზე განაცხადა.

„როდესაც საუბარია სამხედრო შემადგენელზე, ჩვენ რუსეთის ფედერაციასთან მოკავშირე სახელმწიფოსა და კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ფარგლებში გვაქვს მოლაპარაკება. ზუსტად ეს მომენტები შეესაბამება ამ შეთანხმებას. ამიტომ, დღეს რუსეთის პრეზიდენტთან მე შექმნილი სიტუაციის შესახებ ხანგრძლივი, არსებითი საუბარი მქონდა. უნდა ვთქვა, რომ გარკვეულწილად გავვოცდი კიდევაც — აბსოლუტურად ჩახედულია იმაში, რაც ხდება. ჩვენ მასთან შევთანხმდით, ჩვენს პირველსავე თხოვნაზე აღმოგვიჩენენ ყოვლისმომცველ დახმარებას ბელარუსის რესპუბლიკის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“, — განაცხადა ლუკაშენკომ.

„რუსკა, შე მაიმუნო“

სოციალური ქსელის განაწყენებულმა მომხმარებელმა, (როგორც ჩანს, რუსმა ქალბატონმა), ფეისბუქში აღწერა შემთხვევა, რომელიც მას გადახდა მარჯანიშვილის მოედნის ახლოს მდებარე მარკეტ „ნიკორაში“. ქალმა საყიდლები მოაგროვა, სალაროსთან მივიდა გადასახდელად და იქ, როგორც წერს, უცებ გაოგნდა უხეში სიტყვებისგან **„შენ რუსო მაიმუნო“...**

ამ ნაამბობს გამოხმაურების ქარიშხალი მოჰყვა. სოციალური ქსელის მრავალი მომხმარებელი აღშფოთდა, ზოგმა ეჭვი გამოთქვა: მრავალეროვნულ თბილისში ადამიანის ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფა ნაკლებად შესაძლებელიაო, ასეთი რამ, უბრალოდ, არ მოხდებოდაო.

ამ ამბავს მიულოდნელი გაგრძელება მოჰყვა. ფეისბუქის ერთ-ერთმა მომხმარებელმა **პაატა ჭუმბურიძემ** შეიტყო თუ არა ინციდენტის ამბავი, გადაწყვიტა, წასულიყო ხსენებულ მარკეტში და თვითონ გაერკვია, რა და როგორ მოხდა. აი, რას წერს იგი ფეისბუქში მარკეტ „ნიკორაში“ მისვლის შესახებ: **„რაკი იქვე ვცხოვრობ, არ დავიზარე და მარკეტის ადმინისტრაციასთან მივედი ინციდენტის წვრილმანების დასაზუსტებლად. მაღაზიაში უმალ გაიხსენეს ეს ამბავი და მთხოვეს, განაწყენებული მყიდველისთვის გადამეცა, გვესტუმროს და ყველაფერს ავუხსნით, რადგან იმ დღეს ყური არ გვიგდო, ისე გავარდა აქედანო. საქმე ის არის, რომ როცა ის ქალბატონი მოლარესთან მივიდა ნავაჭრის საფასურის გადასახდელად, მის უკან დადგა მეორე მოლარე, რომელსაც რუსკა (რუსუდანი, რუსიკო) ჰქვია. მას ცვლაში უნდა შეეცვალა ის მოლარე, რომლიც იმ დროს ემსახურებოდა მყიდველებს. დაინახა თუ არა თავისი შემცვლელი და მეგობარი, სალარო აპარატთან მჯდომმა ქალმა ხუმრობით მიმართა მას: „რუსკა, შე მაიმუნო, სადა ხარ აქამდე?“ მყიდველმა ნათქვამი „რუსო მაიმუნოდ“ მიიღო და განაწყენდა. ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ის არის, რომ თურმე სალაროსთან მჯდომი ქალი ნახევრად რუსია, დედა ჰყავს რუსი“.**

ასეთია ამ ამბის მოულოდნელი, ანუ, ვთქვათ პირდაპირ, სრულიად მოსალოდნელი დასასრული.

სოციალური ქსელის მომხმარებელი ამას ერთმნიშვნელოვნად გამოეხმაურნენ: იმ ქვეყნის ენა, რომელშიც ცხოვრობ, უკეთესად უნდა იცოდე, მაშინ არავითარი გაუგებრობა არ მოხდება! ფეისბუქის ერთ-ერთმა მომხმარებელმა ელენა ვასკუშენკომ კი პაატა ჭუმბურიძეს მადლობა გადაუხადა, რა ყოჩაღი ხართ, რომ არ დაიზარეთ, მარკეტში შეიარეთ, ყველაფერი გაარკვიეთ და აქ ფეისბუქში განმარტეთო, მართლაც!

ვადიმ ანასტასიადი

მთავარი არხის კიდევ ერთი სიცრუე

სპეციალური პენიტენციური სამსახური კატეგორიულად უარყოფს 2020 წლის 16 აგვისტოს ტელეკომპანია მთავარი არხის გადაცემა მთავარი აქცენტების წამყვანის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს გუშინ საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავით ბელარუსის რესპუბლიკიდან საქართველოში ე.წ. კანონიერი ქურდის, მინდია გორაძის, იგივე „ლავასოღლის“ ექსტრადიცია განხორციელდა.

ეს არის მორიგი სიცრუე, რასაც ზემოთ ხსენებული სატელევიზიო არხი ავრცელებს იმისთვის, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს.

საქართველოში თაღლითმა ნიგერიელებმა ამერიკელი გააცურეს...

საქართველოს პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის კუთვნილი, დიდი ოდენობით ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტი გამოავლინა, — ამის შესახებ პროკურორმა გიორგი მიქავამ გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებმა ო.ფ-მ, ფ.ჩ-მ და ო.მ-მ, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, სოციალურ ქსელში, გამოგონილი პიროვნების სახელით დაარეგისტრირეს მომხმარებლის გვერდი და კომუნიკაცია დაამყარეს დაზარალებულთან - ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე დ.კ-სთან. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დაზარალებული დ.კ დაარწმუნეს, რომ მასთან კომუნიკაციაში იყო ვითომდა საქართველოში მცხოვრები, წარმოშობით გერმანელი ფრენკ ლუკას ბალაკი, რომელსაც თითქოსდა მოგებული ქონდა 900 000 აშშ დოლარის ღირებულების ტენდერი ხიდების მშენებლობასთან დაავშირებით და უახლოეს მომავალში აპირებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში დ.კ-ს თან გამგზავრებას, მასთან ოჯახის შექმნის მიზნით.

ნდობის მოპოვების შემდეგ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, გამოგონილი ქართველი ექიმის სახელით, დაუკავშირდნენ დაზარალებულს და აცნობეს, რომ ფრენკ ლუკას ბალაკი მოყვა ავარიაში და სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თანხის გაგზავნა საქართველოში მკურნალობის ხარჯების დასაფარად. ამავდროულად დაარწმუნეს, რომ მკურნალობის მიზნით საქართველოში გადმორიცხული ფულადი თანხები აუნაზღაურდებოდა ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებული ტენდერიდან მიღებული შემოსავლებიდან. დაზარალებულმა დ.კ-მ რეალურად აღიქვა მიწოდებული ინფორმაცია და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე, ეტაპობრივად, გადმორიცხა ჯამში 233 250 აშშ დოლარი, რომელსაც ო.ფ, ფ.ჩ და ო.მ მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ.

შემდგომში, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხები, მათთვის კანონიერი სახის მიცემის, ლეგალიზაციის, მიზნით ო.ფ-მ, ფ.ჩ-მ და ო.მ-მ დაანაწევრეს და მრავალჯერადი ტრანზაქციებით, სწრაფი ფულადი გზავნილების სახით, გადარიცხეს ნიგერიის და თურქეთის რესპუბლიკებში, მათ მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე, რითაც მოახდინეს ჯამში 86 800 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. 2020 წლის 14 აგვისტოს ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ“ — განმარტავენ პროკურატურაში.

ამოღებულია 2 კგ-ზე მეტი ნარკოტიკი

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, 1958 წელს დაბადებული ს.ა. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო 2 კილო და 300 გრამი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც „ჰეროინს“, „მორფინს“ და „კოდეინს“ შეიცავს.

25 წლის გოგომ 4 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფონიჭალაში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალდებული პირი - 1995 წელს დაბადებული პ.გ. დააკავეს.

დანაშაული თავისუფლების 6-დან 10 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მსუბუქი ავტომანქანით გადაადგილებისას შეეჯახა გზის გვერდულზე გაჩერებულ ავტომობილს და ქვეითად მოსიარულე 7 პირს. შემთხვევის შემდეგ, პ.გ.-მ შემთხვევის ადგილი დატოვა და მიიმალა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა დაშავებულები სამკურნალო დაწესებულებებში გადაიყვანეს. ისინი ამ დრომდე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. მიყენებული ტრავმების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალნენ ე.მ. და ე.ა., ხოლო საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ — ა.მ. და მ.მ. სამართალდამცველებმა ბრალდებულის ადგილსამყოფლის დადგენა მალევე შეძლეს და იგი ფონიჭალის ტერიტორიაზე დააკავეს.

◎ სეოკ-ს მიღმა

ურთიერთობა სოცქსელით

უკვე იცით, რომ 10 აგვისტოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა გამგეობის სხდომა, რომელმაც კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად 11 სექტემბერი დაადგინა, კანდიდატად კი **ლერი ხაბელოვი** წარადგინა.

ამ გადაწყვეტილებას ძიუდოს ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ქევხიშვილი** უარყოფითად გამოეხმაურა. აი, რა დაწერა მან სოცქსელში:

„მეგობრებო, მინდა ორიოდე სიტყვით გამოვეხმაურო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას არჩევნების დანიშვნის თაობაზე, რაც მიმაჩნია, რომ თავისთავად არის გაგრძელება იმ უსამართლო ქმედებისა, რომელიც წესდებაში ცვლილების შეტანის სახით გასული წლის დეკემბერში დაფიქსირდა.

ამ ცვლილებით ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სრულიად უსაფუძვლო მოტივით დააკანონა არჩევნებზე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნის შეზღუდვა და მოახდინა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური პრინციპის — კონკურენციის, შეჯიბრებითობის აკრძალვა. აღნიშნული თავის დროზე გახდა ჩემი მხრიდან პროტესტის ნიშნად ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრის სტატუსის დატოვების მიზეზი.

დღეს უკვე პრეზიდენტობის კანდიდატი უფრო შორს წავიდა და ამ ორი გადაწყვეტილების ერთობლიობით ფაქტობრივად გაემიჯნა სახელმწიფოსა და, შესაბამისად, მმართველი გუნდის ზოგად სპორტულ პოლიტიკას. ამ გადაწყვეტილებით მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავად ოლიმპიური კომიტეტის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების საკითხი, რამეთუ ყველანაირი დემოკრატიული პრინციპის დარღვევა იქნება ასეთი სახის ჩაკეტილ ორგანიზაციად ქცეული ოლიმპიური კომიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება.

ვფიქრობ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სრულად უნდა აიღოს ეს ფუნქცია და სპორტი, ოლიმპიური კომიტეტის გვერდის ავლით ისე, რომ არანაირი პრობლემა არ შეექმნას სპორტულ ფედერაციებს, ოლიმპიური კომიტეტისთვის ბიუჯეტის განსაზღვრის გარეშე დააფინანსოს. ჩემთვის ამ ყოველივეს აღნიშვნა ორმაგად აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რამეთუ გახლავართ არა მხოლოდ სპორტული საზოგადოების წევრი, არამედ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსა“ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი. ვფიქრობ, სწორედ ასეთი თვითნებური გადაწყვეტილებები მავანთა მხრიდან აყენებს ჩრდილს ჩვენს ერთიან პოლიტიკას, რაც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, როგორც, მინიმუმ, სპორტული პოლიტიკის მმართველ ორგანოებში“.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვითარება

9-დღიანი თავკაცი

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გორგასლიძემ თანამდებობა 9 დღეში დატოვა. როგორც მან განაცხადა, დაკავებული პოსტიდან წასვლის მიზეზი ის გახდა, რომ მართვის შეთავაზებულმა ფორმამ ვერ გაამართლა.

აღნიშნული საკითხი ცნობილი რაგბის კავშირში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გახდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ოცდათერთმეტმა კლუბმა რაგბის კავშირს ერთობლივი განცხადებით მიმართა. სუბიექტთა წარმომადგენლები აპროტესტებენ ფაქტს იმის შესახებ, რომ ჯერ არ შექმნილა რაგბის კავშირის კრიზისული მართვის სათათბირო საბჭო, სადაც მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების შეყვანას ხელს უშლიან.

შეგახსენებთ, რომ გიორგი გორგასლიძე რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე 2008 წლიდან მუშაობდა, ახალ პოსტზე კი ცხრა დღის წინათ დაინიშნა, რომლის ფუნქცია ახალი პრეზიდენტის არჩევამდე უნდა შეესრულებინა, თუმცა, თანამდებობა ნაადრევად საკუთარი ინიციატივით დატოვა. რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნები დეკემბერშია დაგეგმილი.

კოგა კოგახიძე

◎ ჩვენებური

ზედიზედ მეხუთე!

ქართველმა მებრძოლმა მერაბ დვალიშვილმა UFC-ში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა — მან ამერიკელი ჯონ დოდსონი დაამარცხა.

დვალიშვილმა მოწინააღმდეგე აშკარად დაჩაგრა და საბოლოოდ მას 30:27, 30:27, 39:27 აჯობა.

მერაბს UFC-ში 7 ბრძოლიდან დადებითი ბალანსი აქვს — 5 მოგება და 2 წაგება.

ბეჭან დოლიძე

◎ მწარე სიმართლე

გაფურჩქნული სარეველა

თითქოს ჩაცხრა თორნიკე შენგელიას ცსკა-ში გადასვლით გამოწვეული ბინძური პოლიტიზირებული ვნებათაღელვა, მაგრამ ფსევდო მედასავლეთელთა ფეხის ხმას აყოლილ მედროვეთა ჩაყრილი ნერგის შხამიანი ნაყოფი ჯერჯერობით მაინც ხარობს და, რაც ყველაზე დამაფიქრებელია, მომავალი თაობის ტვინებს წამლავს.

დასტურად ამ დღეებში ავტობუსში მომხდარ ფაქტს გაგაცნობთ, რომელსაც თავად შევესწარი. ამ ისტორიის პერსონაჟები მეგობარი თინეიჯერები არიან, რომლებიც არმიელთა ბერძენი მწვრთნელის დიმიტრი იტუდისის გამო წაკინკლავდნენ, რომ იტყვიან, ბუზი სპილოდ აქციეს და, მძღოლისა და მგზავრთა ჩარევის მიუხედავად, ერთმანეთს თავ-ყბა გაუერთიანეს.

ყველაფერი კი ერთ-ერთის რეპლიკით დაიწყო — მოსკოველთა თავკაცს შენგელიას ცოდვამ უწია და კორონავირუსით რომ დაავადდა, ძალიანაც კარგიაო.

აი, ამის მერე აირია მონასტერი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ძმაკაცები თანდათან დაუკრეფავში გადავიდნენ და კუნთები ისე აათამაშეს, ბევრ პროფესიონალ სპორტსმენს შეშურდებოდა. კურიოზი ის გახლავთ, რომ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, აყალმაყალის ინიციატორს დედა რუსი ჰყოლია. ეს მაშინ შევიტყვეთ, როცა მისმა „ბრატუხამ“ მრავალსართულიანი გინებით მოუკითხა ცოცხალი და მკვდარი.

თუმცა, ჯერ სადა ვართ. თუ დროზე არ ავლაგმავთ ბუტაფორიულ ოპოზიციონერთა და არასამთავრობოთა მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა თუ სოციალურ ქსელებში გაჩაღებულ მავნებლურ ანტირუსულ (სინამდვილეში — პრორუსულ) პროპაგა:ნდას, მალე მხოლოდ მუშტი-კრივი მონაგონი გახდება და საჯიშე მამლები ერთმანეთს იარაღით გაუსწორდებიან. მე თქვენ გეტყვით, ახლო წარსულში მაგალითებს ვერ მოძებნიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

„ბარსა“ კაპუტ!

ბოლო წლებში მოდურად იქცა კითხვა — **რომელია ევროპულ საკლუბო იერარქიაში წამყვანი — ინგლისის პრემიერლიგა თუ ესპანეთის პრიმერა დივიზიონი. პასუხიც ბანალურია — იმ მომენტში საუკეთესოა ის, რომელსაც კონკრეტულ სეზონში კონკურენტზე უხვი მოსავალი გამოარჩევს, ანუ, პოპულარული გამოთქმისა არ იყოს, გააჩნია, რა შემთხვევაში.**

ჩემპიონთა ლიგის ჯერაც მიმდინარე ტურნირის შედეგების გათვალისწინებით, ეტყობა, დრონი იცვალნენ და უპირატესობა ბუნდესლიგას ან ლიგა ერთს უნდა მივანიჭოთ, რადგან ნახევარფინალური წყვილები მხოლოდ გერმანულმა და ფრანგულმა გუნდებმა შეადგინეს: **„ბაიერნი“-„ლიონი“** და **„ლაიფციგი“-„პარი სენ-ჟერმენი“**.

ამ უკანასკნელთა საქმენი საგმირონის შესახებ წინა ნომერში ვისაუბრეთ, ამიტომ, მოდით, დღეს დითირამბები, თანაც სავსებით დამსახურებული, პირველებს ვუძღვნათ, რომლებმაც, რომ იტყვიან, მთები გადადგეს და მეტოქეებს შავი კორონააგვისტო გაუთენეს.

„ბაიერნი“ - „ბარსელონა“ 8:2

კატალონიელთა ანტირეკორდი შორეული 1961 წლით თარიღდებოდა, როცა მაშინდელი ბაზრობათა თასის გათამაშების ფინალში ისინი „ვალენსიამ“ 6:2 შეარცხვინა. ახალი ვაიმიღწევის გამართლებას „ბროწეულისფერთა“ ქომაგების ნაწილი მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოქმედი ბოსის ბარტომეუს „ჩაშვების“ სურვილსა და მისი წინამორბედის — ლაპორტას დაბრუნების განზრახვას უკავშირებს. მათვე გამზადებული აქვთ მეორე არგუმენტიც — რადგან შარშანწინდელი და შარშანდელი ტურნირების პლეი-ოფში, შესაბამისად, „რომასთან“ და „ლივერპულთან“ ფიასკო გუნდის იმდროინდელ მთავარ მწვრთნელთან მიმართებაში რეაგირების გარეშე დარჩა, ამჯერად მესიმ და კომპანიამ ისეთი შოკი „გამოაცხვეს“, რომ წლევანდელ მესაჭე სეტიენს სათავეში დარჩენის ყველანაირი შანსი მოუსპეს და მწვანე შუქი აუნთეს ამავე პოსტზე ლეგენდარული ჩავის დაწინაურებასო.

დიახ, ენას ძვალი მართლაც არა აქვს, თორემ რეკორდმაისტერის ფავორიტობის საფუძვლიანობის მიფუჩეჩებას ნამდვილად ნიადაგი ექნებოდა გამოცლილი, რადგან: აღნიშნულ გრანდებს შორის აქამდე გამართული ათი შეხვედრის სტატისტიკა ბავარიელთა შთამბეჭდავ უპირატესობაზე მეტყველებდა: 6 მოგება, 2 ფრე და მხოლოდ 2 წაგება.

არანაკლებ აღტაცებას იწვევს მათი შინაური მონაგარი: ჩემპიონატისა და თასის მოგებას ბუნდესლიგაში გატანილი 100(!) გოლი ამშვენებს მაშინ, როცა მეტოქემ სეზონი უტიტულოდ დაასრულა (პირველად, ვინ იცის, რამდენი წლის მანძილზე).

და კიდევ: ფეხბურთის ისტორიას მრავლად ახსოვს მსგავსი კონფუზები, მაგალითად: გერმანია-უნგრეთის დიდი გუნდი 3:8, იგივე გერმანია — ბრაზილია 7:1, არგენტინა — პერუ 6:0, ესპანეთი — მალტა 12:1, მაგრამ პორტუგალიის დედაქალაქში განვითარებული მოვლენები ნათლად მეტყველებს, რომ „ბარსელონაში“ რაღაც დალპა!

„ლიონი“ - „სიტი“ 3:1

თურმე, მორიგი გაწბილება ელოდა გვარდიოლას ამჟამინდელ სამწყსოსაც, არადა ბევრს „სიტი“ სავსებით ლოგიკურად მიაჩნდა წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის, მინიმუმ, სავარაუდო ფინალისტად.

მათი პროგნოზის მსხვრევის მომხრეებს ზურგს უმაგრებდა როგორც ფრანგთა ამასწინანდელი სპორტული გმირობა — ტურნირიდან კრიშტიანუ რონალდუს „იუვენტუსის“ გამოთიშვა, ისე წარმოუდგენელი ფაქტით გამყარებული სასახელო ტრადიცია, რომელიც ხელუხლებლად შენარჩუნდა: „ლიონმა“ უპრესტიჟულეს ევროტურნირში ყველა — ის უკვე 48(!) მატჩი დაასრულა დაუმარცხებლად, რომლის პირველი ტაიმიც მოიგო.

დაუმატესთ ამას შემტევი ფეხბურთის აპოლოგეტი მწვრთნელის გარსიას ტაქტიკური კრედოსადმი მის შეგირდთა ერთგულება და მიხვდებით, რატომ მოუხდათ სამშობლოში ვადამდე გამგზავრება პანდემიით დაღდასმული სეზონის ერთ-ერთ გმირ დე ბრუინსა და მის აშკარად გადაბერებულ პარტნიორებს.

გიორგი ზოთაძე

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 ივლისის № 1-1/286 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) ახორციელებს გარდაბნის „თბოსადგური-2“-ის სსე-ს ქსელთან მიერთების მიზნით, 220 კვ. ელექტროგადმცემი ხაზი „ალავერდი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტს (შემდგომში: 220 კვ. ეგხ „ალავერდი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტი), რომლის დანიშნულებაც არის 220 კვ. ეგხ „ალავერდში“ გარდაბნის „თბოსადგური 2“-ის შეჭრის ადგილიდან 500/330/220 კვ. ქ/ს გარდაბნამდე მონაკვეთის გაორჯაჭვიანება.

220 კვ. ეგხ „ალავერდი“ წარმოადგენს საერთაშორისო კავშირის დაურეზერვებელ ხაზს, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემას აკავშირებს სომხეთის ენერგოსისტემასთან და მისი გამორთვა ქმნის ავარიის რისკებს. ამასთანავე, 220 კვ. ეგხ „ალავერდი“-ს მეშვეობით „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის სსე-ს ქსელთან მიერთება და სიმძლავრის საიმედო გამოტანა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 20 მარტის №1-1/145 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ (შემდგომში: ათწლიანი გეგმა) გათვალისწინებული სასისტემო მნიშვნელობის პროექტის - „თბილისის რეგიონის უსაფრთხო ელ. მომარაგება“ ერთ-ერთ ელემენტს. ზემოაღნიშნული ფუნქციების ერთდროულად განხორციელებისათვის, აუცილებელია ეგხ „ალავერდი“-ს მითითებული მონაკვეთის გაორჯაჭვიანება, ვინაიდან აღნიშნულით ხაზის საიმედოობა და სიმძლავრის გადადინება ექსპლუატაციის პროცესში გაიზრდება ორჯერ და ტექნიკურად შესაძლებელი გახდება „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის სიმძლავრის სსე-ს ქსელში გამოტანა და პარალელურ რეჟიმში სომხეთიდან ელ. ენერგიის მოწოდება საქართველოში ან გადადინება მეზობელ ქვეყნებში.

ამრიგად, ეგხ „ალავერდის“ გაორჯაჭვიანების პროექტი, წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას.

220 კვ. ეგხ „ალავერდი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის 9/8 ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ბირლიკში მდებარე, **მირზა ბაირამოვის** საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის - 142 კვ.მ-ის (მიწის ნაკვეთის საერთო ფართი - 5000 კვ.მ.) სსე-ს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (142 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, აუდიტორული დასკვნის საფუძველზე განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მისი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220 კვ. ეგხ „ალავერდი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მისი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მესაკუთრესთან, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2020 წლის 31 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/286 ბრძანება** „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **„სსე“-ს** მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ბირლიკში მდებარე, **მირზა ბაირამოვის** (პ/ნ 12001015450) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

- **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 81.14.06.634; საექსპროპრიაციო ქონება: მიწის ნაკვეთის 5000კვ.მ.-ის ნაწილი - 142 კვ.მ და მასზე არსებული ნარგავები.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

ტყიბულში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

იმერეთის პოლიციამ 9 აგვისტოს ტყიბულში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა და მომხდარზე ერთი პირი დააკავა.

დაკავებულია, წარსულში ყაჩაღობისა და ძალადობისათვის ნასამართლევი - 1986 წელს დაბადებული ზ.ჩ. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებულმა მიმდინარე წლის 9 აგვისტოს ტყიბულის რაიონის სოფელ ბზიაურის ტერიტორიაზე, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, შურისძიების მოტივით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა 1986 წელს დაბადებულ ზ.ს.-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

კვალი ნათელი

სავსე ქართული პატიოსნებით

პროფესორ ბორის ბერულავას ხსოვნა

2020 წლის 12 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერების და უმაღლესი განათლების გამოჩენილი წარმომადგენელი და მოამაგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბორის გაიოზის ძე ბერულავა.

დაიბადა ქალაქ სენაკში 1928 წლის 25 ნოემბერს, ზუგდიდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც ოქროს მედალოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე და მას შემდეგ მთელი თავისი ნათელი, სიკეთით და ადამიანებისადმი კეთილგანწყობით სავსე ცხოვრება ამ ფაკულტეტზე გაატარა: დაამთავრა ასპირანტურა, იყო ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, კრიოგენული ლაბორატორიის გამგე, პროფესორი და მრავალი წლის განმავლობაში ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგე.

ბატონი ბორისი მაღალფასეული სამეცნიერო შედეგების შემოქმედი მეცნიერია. მისი სადოქტორო დისერტაცია: „რადიოსიხშირული დისკრეტული გაჯერება ელექტრონულ პარამაგნიტურ რეზონანსულ სპექტროსკოპიაში“ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა რადიოსპექტროსკოპიის სამეცნიერო საბჭომ აღიარა მეცნიერების ახალ, უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. ბატონმა ბორისმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა, თავის კვლევებში ყურადღება გაამახვილა მაღალი ენერგიებით დასხივებულ მყარ სხეულებში (პოლიმერებში, ნახევარგამტარებში და სხვა) მიმდინარე პროცესების მექანიზმის შესწავლაზე, ზენაზი და სუპერნაზი ურთიერთქმედებების ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდებით კვლევაზე. მისმა ფუძემდებლურმა შრომებმა დასაბამი მისცა ზენაზი ურთიერთქმედებების საფუძველზე ოპტიკისა და რადიოდინამიკის მრავალი კარდინალური საკითხის გაშუქებას, მის მიერ მიღებული მეცნიერული შედეგები საფუძვლად დაედო მყარ სხეულებში ელექტრონული სიმკვრივის განაწილების საკითხების კვლევას და თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის მაინიცირებელი ზემოქმედების ბუნების გამოვლენას. მეტად მნიშვნელოვანია ბატონი ბორისის გამოკვლევები ფიზიკური ქიმიის, კერძოდ კი ჰეტეროგენული კატალიზის დარგში. მან ეპრ-ის მეთოდის გამოყენებით გამოიკვლია სინთეზურ ცეოლითში ჩანერგილი სხვადასხვა ჟანგვითი ხარისხის მქონე გარდამავალი მეტალების ატომის თვისებებზე ცეოლითის კრისტალური სტრუქტურის გავლენა, დაადგინა ცეოლითურ მატრიცაში კატალიზურად აქტიური კომპონენტების ლოკალიზების ადგილები.

ბატონი ბორისი მაღალი შეგნების მოქალაქე და პედაგოგი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება იყო. ეს თვისება არაერთხელ გამოამჟღავნა უნივერსიტეტისთვის მძიმე დღეებში: ყოველთვის წყნარი, უკონფლიქტო ადამიანი თავდადებით და შემართებით დადგა ქართული უნივერსიტეტის ჯავახიშვილისეული პრინციპების, უნივერსიტეტის საძირკვლებში ჩადებული ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის მთავარი პრინციპების დაცვის სადარაჯოზე.

გარდაცვალებით არ მთავრდება ადამიანის არსებობა, თუ მის შემდეგ რჩება ნათელი ხსოვნა, კეთილი საქმეების კვალი. ბორის ბერულავას, როგორც მეცნიერს, როგორც მოქალაქეს და პატრიოტს, სავსეს ქართული პატიოსნებით, დავიწყება არ უწერია.

კოლეგები

შვილები რუსუდან და ავთანდილ მექვაბიშვილები იუწყებიან

ამირან მექვაბიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 VIII, 14 საათზე. მის: ცინცაძის №79.

ასოციაცია „მესხეთის“ თანამშრომლები იუწყებიან ღირსეული მამულიშვილის, გულისხმიერი ადამიანის

ამირან მექვაბიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

თბილისური მოტივები

დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილი

დავით აღმაშენებლის გამზირზეა

ქალაქის მერს, ბატონ კახი კალაძეს

არის გვირგვინი ნედლი დაფნის და არის ეკლის...
ქალაქის გულში დავაბრუნოთ დავითის ძეგლი!

დროს ნუ დავკარგავთ ამ საკითხზე კამათით, დავით,
საჭირო არის გამოსწორდეს შეცდომა დავით,
აღმაშენებლის ქანდაკება სავსე მშვენებით,
იქ უნდა იდგეს, სადაც დავით აღმაშენებლის
არის გამზირი. ქალაქის მერს, პატრიოტ ქართველს,
ამგვარ საკითხზე დაფიქრება უთუოდ გმართებთ.

არის გვირგვინი ნედლი დაფნის და არის ეკლის...
ქალაქის გულში დავაბრუნოთ დავითის ძეგლი!

მინაწერი:

გადაკვეთაზე, მარჯანიშვილ-აღმაშენებლის,
არის პატარა მოედანი, თუ გნებავთ, სკვერი
და იქ იქნება უპრიანი და შესაფერი
იმ ძეგლის დადგმა. დე, იქ იდგეს სავსე მშვენებით....

გიორგი მაზნიაშვილის ქანდაკება თბილისში

ერთი დის შვილიშვილი მე ვარ,მეორე დის შვილიშვილი კი – მოქალაქენდაკე გენო ზაქარაია.

დაუნდობელი და საauგო
იყო ეპოქა ცრემლებით სავსე.
„იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო“ –
გალაკტიონი ამბობდა ასე.

ნიჭს და ტალანტს ემონება
ხელოვნების გასაღები.
არ არსებობს ხელოვნება
ყველასათვის გასაგები.

უჩვეულო ძეგლი ვნახე,
მომწონს მოქანდაკის სტილი,
თითქოს: დიდი გმირის სახე
ჩექმით იყოს დაჭყლეტილი.

შენს მარჯვენას ბევრი აქებს
დიდებულო მაქანდაკევ!

გაქვს ნატიფი გემოვნება,
ხარ ერთგული შენი მიზნის.
მომწონს შენი ხელოვნება,
შენი იმპრესიონიზმი.

ხარ მხატვარი მისაბაძი,
ფორმას ძერწავ ოსტატურად,
ჰგავს გიორგი სააკაძის
მოკვეთილ თავს ეს ნატურა.

... აღმოცენდა იფქლი
ღვარძლად,
აირია მონასტერი...
ერმა როგორ უნდა გაძლოს,
ერთად გვებრძვის ყველა მტერი.

ან ვინ იყო აქ დაცული,
სულის მოთქმა არ გვეღირსა.
ხემ თქვა: „რას მიზამდა ცული,
რომ არ ჰქონდეს ტარი ხისა“.

ხალხი ტერორს ტაშს დაუკრავს...
დაგვეუფლა აგონია,
გენერალო, შენ ზურგს უკან
დახვრეტილი ვაგონია...

წაუჭირეს მარწუხები
ევროპაშიც, აზიაშიც...
რა ვარამი აწუხებდა
შენს გიორგი მაზნიაშვილს?

მტერს მისდია ჩოლოქამდის,
ბოლოს მაინც მოსდეს შარი...
მხარში ედგა უშიშარი,
ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს...

მას ღალატში დასდეს ბრალი
და დახვრიტეს შვილთან ერთად
„საქართველოს გენერალი“,
პირუთვნელი თავის ერთან.

გმირს ერჩოდა მკლავი, მაჯა
და გაჰქონდა კიდეც ლელო...
იბრძოდა და საქართველოს
სიყვარულში დაისაჯა.

მღერის შენი საჭრეთელი
და უმღერის ჩემი ლირა
ერთგულებას იმ ქართველის,
ვინც სამშობლოს შეეწირა.

მუდამ სხვისი დარდი გტკივა
და ოუგუსტ როდენისთვის
ერთადერთი პერსპექტივა
იყო თურმე მოდერნიზმი...

შენ შენი გზა გაქვს,
შენი გზაწვრილი.
იცი, რაც გინდა, არ ხარ ყმაწვილი.

შენი სახელი მუდამ ისმოდა
რჩეულთა შორის,
მაგრამ როდესაც
შენ აქანდაკებ მარადისობას,
შეშურდებოდა ალბათ როდენსაც.

დიდი მხატვრები აქ არ არიან?
აი, გენადი ზაქარაია!
კარგად შეხედეთ მის ქანდაკებას,
დიდ ხელოვნებას უნდა გაგება.

ბაბრატ ბადიდი,
ილია ჭავჭავაძის პრემიის
ლაურეატი.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ტელეფონის ნომერი - $300 ათასად

ჩინეთის მოქალაქემ იღბლიან ტელეფონის ნომერში აუქციონზე 2.25 მილიონი იუანი (300 000 დოლარი) გადაიხადა. ნომერი ხუთი რვიანით მთავრდება, რაც ქვეყანაში იღბლის ნიშანია, რადგან ჩინურად სიტყვების „რვა“ და „კეთილდღეობა“ ჟღერადობა ერთმანეთის მსგავსია. 2 დღის განმავლობაში ნომრის მოსაპოვებლად 5 ათას ადამიანზე მეტი იბრძოდა. აუქციონი ონლაინ-რეჟიმში მიმდინარეობდა. ტელეფონების მომხმარებლები ჩინეთში, განსაკუთრებით კომპანიები, როლებიც კლიენტებზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობენ, იღბლიანი ნომრების მისაღებად ზედმეტ თანხას ხშირად იხდიან. ყველაზე ძვირადღირებული ტელეფონის ნომერი ჩინეთში 2017 წლის აუქციონზე გაყიდეს – ის შვიდი რვიანით მთავრდებოდა და მყიდველმა მასში 3.91 მილიონი იუანი გადაიხადა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 20 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0738; ევრო - 3.6292;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0261;
100 რუბლი - 4.1886; თურქული ლირა - 0.4167;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8081;
1000 სომხური დრამი - 6.3302.

ამინდი 18 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +27
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +29
თბილისი: ღამე +18, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge